



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგობილ ბეჭდ-  
ვუბი სიფყვას, ცუდიულებით და ჭებებით ბუბ-  
თის გაცანა ყულა უჯანბისებაჲ უსაბაგლესია.



გაგონის 1918 წლის  
25 ივლისიდან


# რესპუბლიკა

ხუთშაბათი, 23 იანვარი. 2020 წ. №12 (8938)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თეთრი

ფლანგარ იყო,  
ფლანგარ იყო...



## „ფრონტერა“ ტყუილებით გაგვბერა!..

ჯული რიში

## გიორგი თაბაძე - რეფორმატორი და გამოგონებელი 5



დიდი გარის დიდი შვილი

## თბილისის არქიტექტურულ- 11 ურბანული სამსახურის ერთი ფანჯრის პრინციპით იშუაგება!

## ბოროტად ჩანაფიქრი...

„თუ ფრანგის საკითხი  
გახდა სავაჭრო თემა,  
საქართველომ ამ  
თემაზე არ უნდა  
ივაჭროს, რადგან ეს  
იქნება უთავმოყვარეობა“



## 19 წლის სანდრო გებეჭკორი - კანალის საერთაშორისო კონკურსზე 12




## ელიტაში ღავრით!

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა ბუდაპეშტში მიმ-  
დინარე ევროპის ჩემპიონატზე მეცხრე ადგილისთვის თამაშის  
უფლება მოიპოვა. რევაზ ჩომახიძის გუნდი მერვედღინალ-  
ში რუსეთთან დრამატული მარცხის შემდეგ გუშინ თურქეთის  
ნაკრებს დაუპირისპირდა და გამარჯვება ადვილად მოახერხა.  
ქართველმა წყალბურთელებმა უპირატესობა თავიდანვე მოი-  
პოვეს, პირველი პერიოდი 4:1 მოიგეს და კარგად დაწყებული საქ-  
მის ბოლომდე მიყვანა არ გასჭირვებიათ. მეტოქე საქართველოს  
წინააღმდეგობას ვერცერთ კომპონენტში ვერ უწევდა და საბო-  
ლოო ანგარიშშიც სრულიად ლოგიკური იყო - 12:6.  
„ჯვაროსანთა“ რიგებში 3-3 გოლით ანდრია ბითაძე და მიხე-  
ილ ბალატურია გამოირჩნენ, ორჯერ თავი ხეიჩა ჯახაიაშვილმა გამოი-  
ჩინა, ხოლო თითოჯერ ბორის ვაპუნსკიმ, გიორგი მაგრაქველიძემ,  
დამირ ცრეპულიამ და რევაზ იმნაიშვილმა გაიტანეს.  
ამრიგად, ჩომახიძის გუნდმა ევროპის ჩემპიონატზე მინი-  
მუმ საუკეთესო ათეულში მოხვედრა გაინაღდა და მეცხრე  
ადგილისთვის გერმანიისა და რუმინეთის წყვილში გამარ-  
ჯვებულს ხვალ დაუპირისპირდება.



## ახალი გზა ხევის გზაზე იქნება!

## ვინღა იბრძვის ღღას ტანკებით და რაღა დროს კურსკის ბრძოლები და სატანკო შეტაკებები...



## თურქეთის კლინიკაში გეოგ სოტნე გამსახურდიას რამდენიმე დღეში გააღვიძებენ

თურქეთის კლინიკაში დაცვითი ნარ-  
კოზის ქვეშ გეოგ სოტნე გამსახურდიას  
რამდენიმე დღეში გააღვიძებენ, ამის შე-  
სახებ „2020NEWS“-ს ცოტნე გამსახურდი-  
ას მეუღლემ ანა ჯაბაურმა განუცხადა.  
„ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელო-  
ბის მდგომარეობა უცვლელია, რამ-  
დენიმე დღეში გააღვიძებენ. თურქეთში  
ორ დღეში ჩავდივარ“, - განაცხადა ანა  
ჯაბაურმა სააგენტოსთან საუბარში.  
შეგახსენებთ, ცოტნე გამსახურდია  
19 დეკემბერს, ვერაზე, გალის ქუჩაზე,



მისავე საცხოვრებელ სახლთან ახლოს  
დაჭრეს. მას მჭრელი საგნით ჭრილო-  
ბები გულმკერდა და თავში ჰქონდა მი-  
ყენებული. დაჭრიდან რამდენიმე წუთში  
მან გონება დაკარგა და სასწრაფოს  
თვითმხილველებმა გამოუძახეს, რის  
შემდეგაც გამსახურდიას რამდენიმე  
რთული ოპერაცია ჩაუტარდა, მათ შო-  
რის, ნეიროქირურგიულიც. საბოლოო-  
ოდ გადაწყდა, რომ მისი მკურნალობა  
თურქეთის ერთ-ერთ ცნობილ კლინი-  
კაში გაგრძელდებოდა.



# „სიონის მემორიალი ორგანიზაციის“ უმაღლესი ჯილდო სალომე ზურაბიშვილს

ამერიკულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ „სიონის მემორიალი“, რომელიც 70 მილიონზე მეტ წევრს აერთიანებს, საქართველოს პრეზიდენტს, როგორც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, ქართველი ხალხის მხრიდან ებრაელებისა და ისრაელის სახელმწიფოსადმი მეგობრობისა და თანადგომისათვის „სიონის მემორიალი ორგანიზაციის“ უმაღლესი ჯილდო გადასცა.

ორგანიზაციამ, რომლის პირველი თავმჯდომარე ისრაელის პრეზიდენტი შიმონ პერესი იყო, სხვადასხვა პერიოდში დააჯილდოვა ასევე, აშშ-ის პრეზიდენტები: ჯორჯ ბუში,

დონალდ ტრამპი და მსოფლიოს რამდენიმე ლიდერი.

საქართველოს პრეზიდენტს ჯილდო ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ მაიკ ევანსმა გადასცა. დაჯილდოების ცერემონიას ისრაელის კულტურისა და სპორტის მინისტრი მირი რეგევი და სხვა ოფიციალური პირები ესწრებოდნენ.

„ჩვენს ორგანიზაციას 40-ზე მეტი მსოფლიო ლიდერი ჰყავდა, რომელთა შორის იყვნენ პრეზიდენტები, მეფეები, პრინციები და პრინცესები. პირველად ხდება, როცა პრეზიდენტისათვის პატივისცემის ნიშნად ანტისემიტიზ-

მის წინააღმდეგ და უფრო მეტად ისრაელის მხარდასაჭერად ფორუმზე ამდენმა ლიდერმა მოიყარა თავი. ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ დღეს აქ უამრავი დიპლომატი იმყოფება.

ვერ ვაცნობიერებდი, თუ როგორ უყვართ საქართველოს პრეზიდენტი. მე ვიცნობ დიპლომატებს მსოფლიოს მასშტაბით და, როდესაც ვესაუბრებოდი მათ მის ჩამოხრძანებაზე, ისინი ყველანი იცნობდნენ მას გაეროდან, საფრანგეთიდან, თუ ეგვიპტიდან. ყველანი მიყვებოდნენ ამ უნიკალურ ქალბატონზე, რომელსაც ყველა უაღრესად დიდ



პატივისცემს. ასე რომ, ჩვენ ძალიან ამაყები ვართ, რომ ის იმყოფება აქ, „სიონის მემორიალში“. ჩვენ 17 მილიონზე მეტი გა-

მომწერი გვყავს Facebook-ზე და ამგვარად ამ დღეს მთელი მსოფლიო იზვიამებს“, - აღნიშნა მაიკ ევანსმა.



## პრემიერ ბახარის დაპირებული უსხვედრები

საპარტიო პრემიერ-მინისტრმა დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო დისკუსიაში: „ახალი ხედვა ევროპისა და აზიისთვის – პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის“.

შეხვედრის მონაწილეებს შორის იყვნენ: აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტი (EBRD) სუმა ჩაკრაბარტი, მონღოლეთის პრეზიდენტი ხალტმა-აგინ ბატულგა, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მევლუტ ჩაქუშოღლუ და სხვები. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს.

ამ ინფორმაციის თანახმად, შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ხედვები ევ-

როპისა და აზიის ურთიერთობის განვითარების პერსპექტივებზე. შეხვედრა მიზნად ისახავდა მსჯელობას არსებული გეოპოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, რეგიონის მზარდი განვითარების ტემპის, ასევე ეკონომიკური პოლიტიკური და ტექნოლოგიური პოტენციალის შესახებ. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დისკუსიისას ხაზი გაუსვა საქართველოს მნიშვნელოვან როლს ორი კონტინენტის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული დაკავშირების საქმეში, საქართველოში არსებულ ხელსაყრელ გარემოს, გეოსტრატეგიულ ადგილმდებარეობას, რაც მას აძლევს შესაძლებლობას, დააკავშიროს მსხვილი ეკონომიკური მოთამაშეები და მეტი კეთილდღეობა შექმნას საქართველოს და მთლიანად რეგიონის მოსახლეობისთვის.

## ქართული სტარტაპების რეკორდული ღირებულება

საპარტიო პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია დავოსში ახალგაზრდა ქართველი სტარტაპერების პრეზენტაციას დაესწრო. ქართულმა სტარტაპმა Vault Wines-მა დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში ღვინის ავთენტურობისა და მეღვინეობის აქტივების მართვის პროგრამა წარადგინა, რომელიც წამყვანი შვეიცარიული ფონდის – CVVC-ის ინკუბატორის კონკურსის გამარჯვებულია.

Vault Wines-ის პროგრამა, რომელიც ღვინის ელექტრონული კომერციის ბიზნესსა და ღვინის ავთენტურობისა და მეღვინეობის აქტივების ბლოკჩეინზე დაფუძნებულ მართვას გულისხმობს, 125 000 აშშ დოლარით დაფინანსდა და პროექტს 10 კვირის განმავლობაში 70-ზე მეტ გამოცდილ ექსპერტთან ერთად ამუშავებდა, რამაც ხელი შეუწყო პროექტის დახვეწას და საერთაშორისო კავშირების დამყარებას. ქართულ სტარტაპს უკვე ჰყავს შვეიცარიელი და ავსტრიელი კონტრაქტორები, რომლებიც მას გაუყვალბებელი მონოტორინგით და QR კოდებით უზრუნველყოფენ.

## ახალი კონკრეტული ნაბიჯები ბრიუსელში

საპარტიო პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარის მოადგილის კახაბერ კუჭავასა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი ბერაიას ბრიუსელში ვიზიტი ნაყოფიერი გამოდგა.

ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე კახაბერ კუჭავას მოხსენებით გამოსვლის შემდეგ, ქართველმა პარლამენტარებმა შეხვედრები გამართეს ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში მწვანეთა ფრაქციის საგარეო პოლიტიკურ საკითხთა კოორდინატორთან რაინჰარდ ბიუტიკოფერთან და ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის გენერალური მდივნის მოადგილესთან ჟან კრისტოფ ბელიარდთან.

საქართველოს პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, კახაბერ კუჭავა ევროპულ კოლეგას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მძიმე ვითარებაზე, ჰუმანიტარულ კრიზისსა და უკანონო ბორდერიზაციის პროცესზე ესაუბრა.

მათივე ცნობით, შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა ოკუპირებული რეგიონების ფაქტობრივი ანექსიის მიმართულებით რუსეთის მხრიდან გადადგმული ნაბიჯები და ის საფრთხე, რომელსაც რუსეთის ფედერა-

ცია როგორც მეზობელი ქვეყნებისთვის, ისე სრულიად რეგიონისთვის, მათ შორის აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნებისთვის წარმოადგენს.

## ქიქო კარგი, ლომ-ჯარის თაჰინსაირი „ლომების“ ჯარი არა ჰყავს!

ომბუდსმანი ნინო ლომჯარია ციხეში გადაღებული კადრების რამდენიმე თვით დაარქივებისა და გასაჯაროების გამო იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატში უჩივლებს.

თეა წულუკიანმა ციხის მონიტორინგის კადრები პარლამენტში მოსმენის დროს გაასაჯაროვა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა ეს ფაქტი კანონისა და საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევად შეაფასეს. მათი განცხადებით, იუსტიციის მინისტრის ეს ქმედება მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაყენების საფუძველი უნდა გახდეს.

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა სახალხო დამცველის კრიტიკას პენიტენციურ სისტემასთან დაკავშირებით რეკომენდაციებით უპასუხა. მან თქვა, რომ ომბუდსმანი პენიტენციურ დაწესებულებებში თავად არ დადის და ანგარიშს ამზადებს ისეთ თანამშრომლებზე დაყრდნობით, რომლებიც „ვიტომ მონიტორინგს“ ატარებენ.

## მთის ქრონოლოგია არსებულ მდგომარეობაზე იმსჯელოს

ბაქშირინისა და გუდაურის შემდეგ მიმდინარე ზამთრის სეზონზე მთის კურორტებზე არსებული გამოწვევების აღმოფხვრისა და საჭიროებებზე დროული რეაგირების მიზნით საკოორდინაციო ჯგუფის მორიგი სამუშაო შეხვედრა მესტიაში გაიმართა.

მას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მარიამ ქვიციანი, მთის კურორტების განვითარების კომპანიის ხელმძღვანელი თეიმურაზ გამცემლიძე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, შინაგან საქმეთა სამინისტროების, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მათ კურორტებზე არსებული პრობლემების მოკლე

ვადაში შესაძლო გადაჭრის გზები განიხილეს, იმსჯელებს სვანეთში ელექტროენერჯის გაზრდილ მოხმარებაზე და მისი ჭარბი გამოყენებით გამოწვეულ შესაძლო შეფერხებების შემთხვევაში მოქმედების სხვადასხვა ვარიანტი განიხილეს.

## სახსოვრებით 560 დავნილი ოჯახი დაქვემდებარდა

საპარტიო პრემიერ-მინისტრის განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ გვიშტიში იძულებით გადაადგილებული პირებისთვის რვა საცხოვრებელი სახლის მშენებლობას ახორციელებს.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, პროექტი საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 33 მილიონ ლარზე მეტია. პროექტის დასრულების შემდეგ 560 დავნილი ოჯახს გადაეცემა საცხოვრებელი სახლი. პროექტი 2019 წლის იანვარში დაიწყო და 2020-2021 წლებში ეტაპობრივად დასრულდება.

„სამუშაოების დასრულების შემდეგ, დევნილებს საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესდება და ახალ, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად რეაბილიტირებულ სახლებში იცხოვრებენ“, - აცხადებენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

მიმდინარე სამუშაოები ადგილზე მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი შენგელიამ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერთან გრიგოლ იოსელიანთან ერთად დაათვალიერა.

წყალტუბოს გარდა, მუნიციპალური განვითარების ფონდი იძულებით გადაადგილებული პირებისთვის საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობას ზუგდიდსა და ქუთაისში ახორციელებს.

### თენგიზ სიგუა ბარდაისვალა

86 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა. სიგუას გარდაცვალების შესახებ ინფორმაციას თენგიზ კიტოვანის ქალიშვილი ავრცელებს. თენგიზ სიგუა საქართველოს პრემიერ-მინისტრი 1992-93 წლებში იყო.



სიმართლე გითხრათ, ხალხს ნავთობკომპანია „ფრონტერას“ არსებობა აღარც კი ახსოვდა, ამ დღეებში ტელეეთერით რომ არ გახმაურებულიყო ამერიკელი კონგრესმენის მარკ უაინს მბლენის განცხადება, რომელიც სხენებულ კომპანიასა და ხელისუფლებას შორის წამოჭრილ დავაში ამერიკული „ფრონტერას“ ინტერესებს კბილებით იცავს, ქართულ მხარეს კი მიეკრძოებულად ადანაშაულებს.

როცა ამ განცხადებებს ვისმენდი, ამ ათეულობით წლის წინათ საქართველოს ნავთობწარმოებაში „მშვიდობის მტრედად“ შემოჭრილი ამერიკული „ფრონტერა“ თვალწინ დამიდგა, რომელმაც თავი ზღაპრებისა და ტყუილების თხზვით და არა რეალური საქმეების კეთებით დაგვამახსოვრა. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც იმ პერიოდში „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული არაერთი მასალა, მათ შორის ჩემი წერილებიც, რომლებშიც პირუთვნელად ვამხელდი „ფრონტერას“ ზღაპარმთხზველობის უნარჩვევებს.

ერთი ასეთი წერილი იწყებოდა 2015 წლის ნოემბერში აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის საქართველოში მოულოდნელი ვიზიტით, რომელსაც საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ჩვენებური ნაციონალურ-როგანებული ჩანდნენ – აი, ნახავთ, ჩვენ რომ იქით რუსულ „გაზპრომს“ ვეკურკურებით, ალიევი არ გვაპატიებს, გაზის მიწოდებას შეგვიწყვეტს და ამ ზამთარს სიცივეში გვაგაგაგავს.

ღვთის მადლით, მსგავსი არაფერი მომხდარა. ჯერ კიდევ ალიევის ჩამოსვლამდე „სოკარმა“ დაგვამშვიდა: საქართველოში თუ „გაზპრომი“ შემოვა, ჩვენთვის პრობლემა არ იქნება, კონკურენცია არ გვეშინია და ალტერნატიულ ბაზარში სიამოვნებით ვიმუშავებთო. თვით ალიევა კი განაცხადა: აზერბაიჯანს 100 წლის შემდეგაც შეუძლია გაზით არა მხოლოდ საკუთარი თავი, არამედ მეზობლებიც და ევროპაც დააკმაყოფილოსო.

ხალხმა ეს რომ მოისმინა, გუნებაში ჩაიღიმილა: იტრაბახეთ, აზერბაიჯანელებო, იტრაბახეთ, მაგრამ მალე გაიგებთ, რომ არც ჩვენ გვაქვს საქმე ნაკლებ სატრაბახოდ. თუ არ გჯერათ, აგერ არის, ბატონებო, ამერიკული ნავთობკომპანია „ფრონტერა“ და ჰკითხეთო. მის მიერ გაკეთებულ კვლევებში თუ დავეყრდნობით, დარწმუნდებით, რომ საქართველოს ბუნებრივი აირის გაცილებით დიდი, სამჯერ მეტი რესურსი აქვს, ვიდრე აზერბაიჯანს. ამ მაჩვენებლით ჩვენ ვუსწრებთ გაზის მომპოვებელ ისეთ აღიარებულ ქვეყნებს, როგორებიც არიან ქუვეითი, ლიბია, ყაზახეთი, უზბეკეთი, ინდონეზია და სხვები.

ავსენებულვართ და ეგ არისო, იფიქ-



# „ფრონტერა“ ტყუილებით გაგვპერა!..

რებს კაცი და კონკრეტული ციფრებით დაინტერესდება. აგერ არის ეს ციფრებიც, რომლებიც „ფრონტერამ“ გულდასმით დაანგარიშების შემდეგ საჯაროდ წარადგინა. მისი მტკიცებით საქართველოში ბუნებრივი აირის შესაძლო მარაგი 3,8 ტრილიონ კუბურ მეტრს შეადგენს; მწარე სხვისა და ტარიბანის გაზის კომპლექსებზე 365 მილიარდი კუბური მეტრის გაერთიანებული პერსპექტიული ბუნებრივი გაზის რესურსია, მათ შორის 266 მილიარდი კუბური მეტრი – ამოსაღები პერსპექტიული რესურსები.

ამდენი კაცო? თუ ასეთი ზღაპრული რესურსები გვაქვს, ეს ჩვენი ნავთობისა და გაზის კორპორაცია რატომ დუმდა? მას „ფრონტერას“ აღმოჩენაზე რატომაც კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა განმარტა, რომ საქართველოში თავისუფალი გაზის დადასტურებული მარაგი შეფასებულია რუსთავის, სამგორის, ნინოწმინდის, მწარე სხვისა და ბადოებზე და მათი ჯამური რაოდენობა 1,874 მილიარდ კუბურ მეტრს შეადგენს. გარდა ამისა, ნავთობში გახსნილი მარაგიც დათვლილია და 75,3 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს, ანუ ჯამურად თავისუფალი გაზის და ნავთობში გახსნილი გაზის დადასტურებული მარაგები 1,922 მილიარდი კუბური მეტრია, რაც „ფრონტერას“ გათვლებს ორიათასჯერ ჩამორჩება.

სხვაობა გამიგია, მაგრამ ამხელა? თუმცა „ფრონტერასგან“ გასაკვირი არაფერია, მან უფრო ადრეც გაგვაოცა „აღმოჩენით“, როცა საზეიმოდ განაცხადა, იორმულანლოში 42 მილიარდი კუბური მეტრი გაზი აღმოვაჩინეთო და ისიც დაამატა, ამ რაოდენობით საქართველო მომავალში ენერგოდამოუკიდებლობისკენ მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამსო. ისე დაუმშვენდნენ ცხვირი

„ფრონტერას“ თავცაცობას, როგორც ეს სიმართლე გამოდგა!

ამ ამბავმა საქართველოში შევარდნაძის მმართველობის პერიოდი გამახსენა, როცა აღმოჩენების სურვილით შეპყრობილი არაერთი და ორი უცხოური ნავთობკომპანია მოადგა ქვეყანას ამერიკიდან, ინგლისიდან, ავსტრალიიდან თუ სხვა ქვეყნიდან. ყველა მათგანი საქართველოს ამა თუ იმ მხარეში, მათ შორის შავი ზღვის შელფშიც კი ნავთობის მარაგის დაზვერვას ეწეოდა და აღმოჩენილი ზღაპრული მარაგის კვალობაზე ქართველ ხალხს ბედნიერ ცხოვრებას უწინასწარმეტყველებდა. მახსოვს, მაშინ დედოფლისწყაროში ნავთობის გაბურღილის საზეიმო გახსნაზე, რომლის მშენებლობაც „ფრონტერას“, თუ არ ვცდები, 3 მილიონი დოლარი დაუჯდა, მთავრობის წევრებთან ერთად ჟურნალისტებიც მიგვიწვიეს. ახლაც თვალწინ მიდგას ედუარდ შევარდნაძის გაბრწყინებული სახე, რომელმაც კამკამა ნავთობით გალიციციკლებული ჭიქა ეშხით დააჭაშნიკა და ქვეყანას აღმშენებლობის ახალი ეტაპის დადგომა მიულოცა.

ამის თაობაზე მაშინდელმა პრესამ, მათ შორის „საქართველოს რესპუბლიკამ“ არაერთი იმედის მომცემი წერილი თუ სტატია გამოაქვეყნა, რომლებიც ისტორიას შემორჩა. თავად ის ზღაპარი, რომ საქართველო უმდიდრესი ნავთობის საბადოების მფლობელია, ნელ-ნელა გაფერმკრთალდა და საბოლოოდ ცაზე შვიდფერად გადაჭიმულ ცისარტყელასავით გაქრა. მახსენდება „საქართველოს“ მაშინდელი გენერალური დირექტორი რევაზ თევზაძე, მეცნიერი და ამ დარგის დიდი სპეციალისტი, იმედიანად კი იყო განწყობილი „ფრონტერას“ მიმართ, მაგრამ, როგორღაც მაინც ეჭვობდა და მეუბნებოდა: ამ ქვეყნად მხოლოდ

მამაზეციერმა იცის, ქართულ მიწაში რა მოცულობის ნავთობის საბადოებია ჩაბუდეებულიო.

ასეთი იყო „ფრონტერას“ მიერ შეთხზული ზღაპრები ჯერ ნავთობის და შემდეგ, უკვე ბუნებრივ აირთან დაკავშირებით, რომლის მოპოვება საქართველოში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. ეს იყო სამგორი-პატარძელის საბადოდან მოპოვებული ნავთობის თანმყოფი გაზი, რომლის წლიური მოცულობა პიკური მოპოვების წლებში 300 მილიონ კუბმეტრს არ აღემატებოდა. მას შემდეგ, რაც რუსთავის გაზის საბადო აღმოაჩინეს (1983 წ.), თავისუფალი გაზის მოპოვებაც დაიწყო. ეს პროცესი გაგრძელდა ნინოწმინდის უბანზეც, მაგრამ მოპოვებითი სამუშაოები იმდენად მცირეა და, აქედან გამომდინარე, მისი შედეგიც, რომ სალაპარაკოდაც არ ღირს.

ნავთობკომპანია „ფრონტერამ“ კი ყბების დასკდომამდე ბერა და ბერა ზღაპარ-ტყუილები ქართული ნავთობისა და გაზის საბადოების უღვევლობის შესახებ, რასაც ის, როგორც ახლა ირკვევა, საკუთარი აქციების ფასის გასაზრდელად გვთავაზობდა. ახლა კი ესეც არ იკმარა და „ფრონტერა“, საქართველოდან კაი ხნის წასავათებული რომ გვეგონა, ქვეყნის მთავრობას აქეთ შეედავა – შენს გამო 3,5 მილიარდი დოლარის ზარალი წამოვიკიდე და ამინაზღაურეო. ჩვენებურ ნაცხროვასაც მეტი საკბილო რა უნდოდა, უმაღლესად: სულ ამას არ ვლაპარაკობთ, ივანიშვილს საქართველოში მხოლოდ თავისი ბიზნესი აქვს გაჯეჯილებული, ყველა დანარჩენს „წყალგალმა“ ერეკებაო.

ნუ ავეყვებით ძალდატანებულ ნაცვების წაკვკავს და ამერიკელი კონგრესმენის მარკ უაინს მალინის მიერ საქართველოს ხელისუფლების დაუსაბუთებლად დადანაშაულებას. აჯობებს სტოკჰოლმის საერთაშორისო არბიტრაჟის გადაწყვეტილებას დავეყოლოდით, რომელსაც ვფიქრობ, ჩვენებურ ნაცვებისა და „ფრონტერას“ ამერიკელი ლობისტის „ნივთმტკიცება“ სარჩელის გამოსატანად არც გამოადგება და არც გამოიყენებს.

ოთარ სუციშვილი

## ნარინჯისფერი რთილი დასრულდა

2019 წელი საქართველოში მანდარინის განსაკუთრებულად მაღალი ხარისხის მოსავალით გამოირჩეოდა. წინასწარი ინფორმაციით, მოსავლის რაოდენობამ 50 ათას ტონას გადააჭარბა, ხოლო ექსპორტმა გასული წლის სექტემბერ-იანვრის თვეში 31 ათასი ტონა შეადგინა, რაც 5%-ით აღემატება 2018 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.



ექსპორტი განხორციელდა რუსეთში (20.0 ათასი ტ), უკრაინაში (5.2 ათასი ტ), სომხეთში (4.4 ათასი ტ), ბელარუსში (3.19 ტ), ყაზახეთსა (1.40 ტ) და ყირგიზეთში (58 ტ). საქსპორტო ქვეყნებს წელს დაემატა სლოვენია, მოლდოვა, ლიეტუვა, პოლონეთი, ყატარი და სინგაპური. პროდუქციის მაღალი ხარისხი პირდაპირპროპორციულად განაპირობებდა მაღალ საბაზრო ფასს. მანდარინზე საბითუმო ფასი 0.6-დან 2.0 ლარამდე იყო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამრეწველო გადაამუ-

შავებისთვის, ქარხნების მიერ მიღებული არასტანდარტული მანდარინის რაოდენობამ, 19 იანვრის მდგომარეობით 10 ათასი ტონა შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ წლევანდელი მოსავლის მაღალი ხარისხი დიდწილად განაპირობა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ სახელმწიფოს მიერ გატარებულმა მასშტაბურმა ღონისძიებებმა. ბრძოლის პროგრამის ფარგლებში, ნარგავებში ჩატარდა პრევენციული ღონისძიებები – თერმული ნისლით დამუშავდა ტერიტორიები, რამაც მინიმუმამდე შეამცირა მავნებლის მიერ ციტრუსის კულტურის დაზიანება.

## რა მოსულოვის პროექტები გაყიდეთ 2019 წელს ექსპორტზე?!

საბართიშვილს მთავრობის ინფორმაციით, 2019 წელს ექსპორტის რეკორდული მაჩვენებლები გვქონდა. მათი ცნობით, რეკორდულია, როგორც მთლიანი ექსპორტის, ასევე საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის მოცულობაც. გაზრდილია და მათ შორის, რეკორდულია სხვადასხვა პროდუქტის ექსპორტის მოცულობა:

ღვინის ექსპორტი: 223 მლნ აშშ დოლარი – რეკორდული მაჩვენებელი (ზრდა+13.2%);  
 მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტი: 133.5 მლნ აშშ დოლარი – 2014 წლის შემდეგ ყველაზე დიდი მაჩვენებელი (ზრდა+21.2%);  
 თხილის ექსპორტი ზრდა: 67 მლნ აშშ დოლარი – 2014 წლის შემდეგ ყველაზე დიდი მაჩვენებელი (ზრდა+10.6%);  
 ტანსაცმლის ექსპორტი: 56.9 მლნ აშშ დოლარი –

რეკორდული მაჩვენებელი (ზრდა+53.2%);  
 ციტრუსის ექსპორტი: 21 მლნ აშშ დოლარი – რეკორდული მაჩვენებელი (ზრდა+44.4%);  
 ატმის, გარგარის, ალუბლის, ბლის, ქლიავის და ლოლნოშის ექსპორტი: 13 მლნ აშშ დოლარი – რეკორდული მაჩვენებელი (ზრდა+53.2%);  
 სანელებლების ექსპორტი: 11 მლნ აშშ დოლარი – რეკორდული მაჩვენებელი (ზრდა+24.7%);  
 ვაშლის, მსხლის და კომშის ექსპორტი: 5 მლნ აშშ დოლარი – რეკორდული მაჩვენებელი (ზრდა+210%);  
 მთავრობის ადმინისტრაციის ცნობით, 2019 წელს სავაჭრო დეფიციტი მნიშვნელოვნად – 489 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. 2019 წლის ექსპორტის მოცულობა 3.8 მილიარდი აშშ დოლარს აღწევს და წინა წელთან შედარებით ექსპორტი 12.4%-ით მეტია, ხოლო 2019 წლის დეკემბერში, წინა წლის დეკემბერთან შედარებით, ექსპორტი 18.7%-ით გაიზარდა. ევროკავშირში ექსპორტის მაჩვენებელმა 825.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ზრდა +13%.





ძვეშეთი-კობის გზის მშენებლობა ზოგისთვის რუსული პროექტია, ზოგისთვის კი საქართველოს ეკონომიკური სარგებელი.

თავად ყაზბეგის მკვიდრი აცხადებენ, რომ ქვეშეთი-კობის გზის მშენებლობა რაიონის მცხოვრებლებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან ზამთრის პერიოდში გადაადგილება ძალიან რთულია და ამ გზის გახსნით ადგილობრივებისთვის პრობლემა მოგვარდება. ყაზბეგის მკვიდრი ნუგზარ ოდიშელი მიიჩნევს, რომ ეს გზა არის კავშირი თბილისთან და დანარჩენ საქართველოსთან, რადგან დიდთოვლობის გამო შვიდი თვის განმავლობაში ჩაკეტილია ხევის უღელტეხილზე მოძრაობა. ოდიშელის თქმით, ადგილობრივი მოსახლეობის განაწილება გამოიწვია იმ გარემოებაში, რომ ოპოზიციამ და განსაკუთრებით მამუკა ხაზარაძემ ისე წარმოაჩინეს, თითქოს ქვეშეთი-კობის გზის მშენებლობა რუსეთის ინტერესია.

როგორც ცნობილია, მამუკა ხაზარაძემ რამდენიმე დღით ადრე გააკეთა განცხადება, რომ ქვეშეთი-კობის გზით რუსეთს ვაძლევთ ტანკებით კომფორტულად შემოსვლის ახალ შესაძლებლობას.

ანალიტიკოს გია აბაშიძეს აინტერესებს, რუსული პროექტი რომ იყოს ეს გზა, მაშინ ADB (აზიის განვითარების ბანკი) დააფინანსებდა 415 მილიონი დოლარით და EBRD 60-მილიონი დოლარის სესხს გამოყოფდა? თანაც, ღმერთმა დაგვიფაროს, რუსეთს აქ შემოვივლა რომ მოკრიანოს, ტანკებით გარდა არაფერი აქვს შეიარაღებაში?

რას მოგვიტანს ქვეშეთი-კობის გზის მშენებლობა და ნახალისებს თუ არა რუსეთს ტანკების შემოსაგრუსუნებლად?!

პოლიტოლოგ ვახტანგ ძაბირაძის აზრით, მამუკა ხაზარაძის განცხადება, თითქოს ქვეშეთი-კობის გზა რუსული პროექტია, „ლელოს“ ლიდერის პოლიტიკური გამოუცდელი ლობობით აიხსნება. მართალია, პოლიტიკაში ჩაერთო ხაზარაძე, მაგრამ ჯერ მინც ახალბედა ამ საქმეში და ზუსტად ვერ ახერხებს აქცენტების დასმას.

„რუსული ტანკები შემოგრუსუნდებიანო, ეს დაახლოებით იმას მგონებს, დიდი აჟიოტაჟი რომ ატყდა, ბათუმიდან რუსული ტანკები გაიყვანეთო. ამ დროს ბათუმიდან თბილისამდე რა გზაც არის, ორჯერ ნაკლებია სომხეთიდან თბილისამდე, სომხეთი კი რუსული ტანკებითაა გაქვცილი ახლა კობიდან თუ არ შემოვიდნენ რუსები გვირაბით,

# ახალი გზა სპვის მუშაობა იქნება!



**ვინა იბრძვის დღეს ტანკებით და რაღა დროს კურსის ბრძოლები და სატანკო შეტაკებები...**

ცხინვალიდან ვერ შემოვლენ, სადაც უკვე არიან შემოსულნი? ამიტომ ასეთი აქცენტები არასწორია. კობის მონაკვეთი თუ გაიხსნება, ჩვენ უკეთესი ვითარება გვექნება სტეფანწმინდასთან ურთიერთობის თვალსაზრისით, რადგან კობის გვირაბი გადის სტეფანწმინდაში. იქ კიდევ სხვა პრობლემაა, ვგულისხმობ ხეობის პრობლემას. შესაბამისად, ეკონომიკურის გარდა, ამ პროექტს პოლიტიკური დატვირთვაც აქვს“, – აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე და მიიჩნევს, უღელტეხილზე ეს მანქანები მინც დადის და სჯობს, ნორმალური გზით მინც გავიდნენ.

„აფხაზთა კრების“ ლიდერი ვალენტინ აბაბაძე მიიჩნევს, რომ ნაბიშმიარ სამხედრო წიგნში თუ ჩაიხიშნება, სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით, არც ერთი ტერიტორია არ ითვლება ალბათულად, სანამ იმ ძველი ჯარისკაცი არ შვიკა. ძველი ჯარისკაცი, რომელიც წინააღმდეგობას უწევს, არაა მარტო მისი, არამედ მისი ტერიტორიისა.

„ძარბაველი საზოგადოებას კალიან მხარა გაკვეთილი აქვს რუკის გვირაბის სახით, რომელიც სავალი არ იყო საჭირო, მაგრამ თანამედროვე რუსეთში შვიკა შვიკაა და ამ გვირაბის არსებობა, კალიან კარგად ვიცით. მტაცებელი რუსეთი და ის ყოველთვის მსგავს დონეშია და სწრაფად მსგავსდება საზოგადოებას, ამიტომ საფრთხილოდ მივიჩნევ ამ გზის მშენებლობას“, – აცხადებს ჩვენთან საუბრისას ვალენტინ აბაბაძე.

ამასთან, დასძენს, ჩვენ რომ გვეყვოდეს ისეთი მეზობელი, როგორცაა საფრანგეთი, იტალია, ბრიტანეთი, მაშინ კითხვა არ დაისმებოდა ამის თაობაზე, მაგრამ ჩვენ რუსეთთან ურთიერთობის 250-წლიანი სამშუხარო გამოცდილება გვაქვს.

„აფხაზთა კრების“ ლიდერის აზრით,

როგორი მომგებიანიც არ უნდა იყოს ეს გზა, ამ მომგებიანობას ყოველთვის გადაწონის ჩვენი უსაფრთხოება, რაც უფრო მაღალი ღირებულებაა, ვიდრე ეკონომიკური შემოსავალი. მით უმეტეს, რომ ქვეშეთი-კობის გზის მშენებლობის ეკონომიკურად ხელშესახები შედეგი არ ჩანს.

ალმოსავლეთმცოდნე დავით კობერიძე მიიჩნევს, რომ არა მარტო ქვეშეთი-კობის გზის მშენებლობაა საქირო, არამედ საქართველოში რაც მეტი გზა იქნება, მით უკეთესი. ალმოსავლეთმცოდნის აზრით, სამხედრო შემადგენელი ამ გზას არანაირად არა აქვს.

„ბატონმა მამუკა ხაზარაძემ ემოციური და ნაქარვევი განცხადება გააკეთა, ამის შემდეგ ჯაფარიძემ შეარბილა ეს განცხადება და ცხადია, შეარბილებდნენ კიდევ, რადგან არ იყო ეს სიმართლესთან ახლოს მდგომი განცხადება. ჯერ ერთი, კობი შორს არის, 130-140 კილომეტრი მაინცაა თბილისიდან და ამ დროს თბილისიდან სულ რაღაც 40-45 კილომეტრში უკვე დგანან რუსული ტანკები, თან ავტობანთან ძალიან ახლოს დგანან. ამასთან, ნუ დაავიწყდება ნურავის, რომ რუსეთის ფედერაციას გააჩნია სადესანტო მოიერიშე სერიოზული შეიარაღება. რაში სჭირდება ტანკების გრუსუნით შემოსვლა ვლადიკავკაზიდან თბილისამდე? ვინა იბრძვის დღეს ტანკებით და რაღა დროს კურსის ბრძოლები და სატანკო დატაკებებია ერთმანეთთან? თვითონ მამუკა ხაზარაძემაც ძალიან კარგად იცის, რომ კობის გვირაბის მშენებლობა არანაირი საფრთხე არ არის. პირიქით, ბევრი სიკეთე შეიძლება მოგვიტანოს ამ პროექტმა. სომხური მანქანები, რომლებიც წვლობენ, სანდახან კვირების განმავლობაში დგანან ზამთრის პერიოდში, რადგან დიდთოვლობის გამო გზა იკეტება, თავისუფლად გაივლიან. ამან შეიძლება დამატებითი შემოსავალი მოუტანოს ჩვენს ქვეყანას“, – აცხადებს დავით კობერიძე.

ცნობისთვის, ძვეშეთი-კობის გზაზე დაგეგმილია 2-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის 22,7 კილომეტრი გზის, 6 ხილისა და 5 გვირაბის მშენებლობა, მათ შორის, ერთი 9-კილომეტრიანი გვირაბის მშენებლობა. ძვეშეთი-კობის გზაზე აშენდება 500-მეტრიანი თალავანი ხილიც, რომლის თალიც უნარეკავდება 300 მეტრი სიგრძის იქნება.

# სოფლის მეურნეობას მასშტაბური სვლილებები და რეორგანიზაცია სჭირდება, რაც საქართველოში ვერ განხორციელდა

სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო პროგრამებითა თუ საერთაშორისო დონორების დაფინანსებით მილიონობით ლარი დაიხარჯა. სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრმა და ახლა აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ დანელიამ 2016 წელს „კომერსანტს“ განუცხადა, რომ 2018-2020 წელი იქნება კრიტიკული ზღვარი, როდესაც თვალსაჩინოდ დაინახავთ სოფლის მეურნეობის პროექტების შედეგებს.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, როგორ აისახა სოფლის მეურნეობის პროექტების შედეგები მოსახლეობაზე და რამდენად დადებითი ეფექტი აქვს სახელმწიფოს მიერ გატარებულ პროგრამებს. თავად, ახლა უკვე კომიტეტის თავმჯდომარე და სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი ოთარ დანელია მედიაპოლიტიკის კონტაქტზე არ გამოდის.

აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლაშა ღამბაშიძე კი აცხადებს, რომ სოფლის მეურნეობას მასშტაბური ცვლილებები და რეორგანიზაცია სჭირდება, რომელიც საქართველოში ვერ გან-

ხორციელდა. „ევროპული საქართველოს“ წევრი ამბობს, რომ სოფლის მეურნეობის წილი ეკონომიკის განვითარებაში, რაც დრო გადის, უფრო და უფრო მცირდება. დაშინა „კომერსანტთან“ სოფლის მეურნეობის პროგრამების არაეფექტურობაზე ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ პროგრამების შედეგები მოსახლეობაზე უნდა აისახოს, თუმცა, მისი თქმით, მოსახლეობა შედეგს ამ დრომდე ვერ იშვებს.

„ამ ეტაპზე რთულია, შედეგებზე ვისაუბროთ, ვთვლი, რომ მასშტაბური ცვლილებებია საჭირო იმისთვის, რომ სოფლის მეურნეობაში დადებითი ეფექტი ვიგრძნოთ. პროგრამა „დანერგე მომავალი“, რომელიც ოთარ დანელიას მინისტრობის დროს დაიწყო, გარკვეულწილად კონკრეტულ ადამიანებზე დადებითად აისახა და შედეგი მისცა, მაგალითად, სამეგრელოში ბევრი მოცვის და მოცხარის პლანტაციები გაშენდა, მაგრამ ეს დოვლათს ვერ შექმნის და ქვეყნის განვითარებაში წილს ვერ შეიტანს. თუ არ მოხდა გამსხვილება და ფერმერული მეურნეობის ხელშეწყობა, და-

დებით ეფექტს ვერ ვიგრძნობთ. ელემენტარულად ნიადაგი არ აქვთ შესწავლილი და არ იციან, სადა რა უნდა განვითარდეს, ასევე აუცილებლად უნდა განვითარდეს სამაცივრე მეურნეობები, რომლებშიც უნდა მოხდეს ხილის და ბოსტნეულის შენახვა. ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, რაც მნიშვნელოვნად შეცვლის სოფლის მეურნეობის წილს ქვეყნის განვითარებაში. სამწუხაროა, რომ დღესაც არაფერი კეთდება იმისთვის რომ შედეგებზე შეძლოს გასვლა სოფლის მეურნე-



ბის მიერ მოტიანილია სიკეთემ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შუბ „მექანიზატორი“, რომლის მთავარი დანიშნულება აგრარული სექტორის საჭირო ტექნიკითა და მექანიზატორის მომსახურებაა, ბოლო სამი წელია, წაგებაზე მუშაობს. ასევე წყალში გადაყრილი ფული იყო უფასო ხვნა-თესვის პროგრამა“, – განაცხადა ლაშა ღამბაშიძე.

აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბაბუა სამხარაული აცხადებს, რომ სახელმწიფო პროგრამების შედეგები 2020 წლიდან იქნება თვალსაჩინო. მმართველი გუნდის წევრი ამბობს, რომ სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარები საოჯახო მეურნეობიდან ფერმერულ მეურნეობაზე ნაწილობრივ გადავიდნენ. მისი თქმით, სოფლის მეურნეობის განვითარების შემაფერხებელი მიზეზი დარგში შესაბამისი ცოდნის ნაკლებობაა.

„იმ პროექტების პროდუქტიულობა, რომელიც სახელმწიფოს დახმარებით დაიწყო, 2020 წლიდან გამოჩნდება. ბაბუის გაშენებას, ფერმერული მეურნეობების დახმარებას და ა.შ. ყველა პროგრამას სჭირდება დრო, მინიმუმ 4 წელია საჭირო იმისთვის, რომ მცენარე მსხმოიარობაში შევიდეს. გარკვეულწილად, ვინც გააზრებული ნაბიჯები გადადგა და ისარგებლა ამ სიკეთით, ფერმერული მეურნეობები ჩამოაყალიბა. რა თქმა უნდა, სასურველი იყო, უფრო მეტი შექმნილიყო, მაგრამ ეს უკვე დამოკიდებულია ჩვენს სურვილზე, ჩვენს ცოდნაზე, ჩვენს გამოცდილებაზე. ვფიქრობ, რომ მთავარი პრობლემა ჩვენს ქვეყანაში სწორედ ცოდნის ნაკლებობაა“, – აცხადებს გელა სამხარაული.

„კომერსანტის“ კითხვაზე, როგორ უნდა ებრძოლოს სახელმწიფო სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ მიზეზს – განათლების არ უქონლობას და რას აკეთებს პარლამენტი ამ პრობლემის მოსაგვარებლად, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გვიპასუხებს:

„არ მიმაჩნია, რომ ბრძოლა ამ სიტუაციას შეესატყვისება, კი არ უნდა ვებრძოლოთ, უნდა ვისწავლოთ. კომიტეტის ძირითადი მიმართულებები, რაც გვაქვს, არის ის, რომ მაქსიმალურად დაუზახლოვით ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობას, საუბარი მაქვს ევროკავშირზე“, – განაცხადა გელა სამხარაული.

ბარო ადამია



საქართველოს სახელმწიფო პრემიისა და გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ვერნადსკის სახელობის ოქროს მედლის კავალერს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ბიორბი თაზაძეს 2020 წლის 6 იანვარს 75 წელი შეუსრულდა.

გიორგი თაზაძე დაიბადა თბილისში, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ფერდინანდ თაზაძის ოჯახში, დედა – ბარბალე ქარუმიძე, 1924 წელს რეპრესირებული მეცნიერის ალექსანდრე (საშა) ქარუმიძის ქალიშვილი გახლდათ.

1961 წელს გ.თაზაძემ წარჩინებით დაამთავრა ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტზე. გოგი ყმანვილობის პერიოდშივე გაუშინაურდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტს, რომელსაც მამამისი, ლეგენდარული აკადემიკოსი ფერდინანდ თაზაძე ხელმძღვანელობდა. ცნობისმოყვარეობით და ახლის ძიების სურვილით გამორჩეული ყმანვილი ხშირად სტუმრობდა ინსტიტუტის ხმაურთან სახელოსნოებსა და ლაბორატორიებს, სადაც ფერდინანდ თაზაძის მონაწილეობით და მიმდევრები ფუსფუსებდნენ და მოუთმენლად ელოდა მათ რიგებში მოხვედრას. ეს დღეც დადგა 1961 წელს ინსტიტუტის დირექტორმა ფ.თაზაძემ! კურსის სტუდენტი გოგი თაზაძე ინსტიტუტის ყველაზე რთულ უბანზე უმცროსი ლაბორანტის თანამდებობაზე გააქმნეს და თავის უსაყვარლეს მონაწილეებს გური ცვაგარევიშვილსა და ჯუმბერ ხანთაძეს ჩააბარა. გური ცვაგარევიშვილმა იმ თაობიდან პირველმა გაიკვლია გზა ეროვნული აკადემიისაკენ და, სამწუხაროდ, სრულიად ახალგაზრდა ალესურა მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის რანგში. ჯუმბერ ხანთაძესთან მეგობრობა კი დღესაც გრძელდება, ნიშანდობლივია, რომ გოგი თაზაძემ თავისი პირველი მეცნიერული ნაზრები ჯ. ხანთაძესთან ერთად სტატიების სახით გამოაქვეყნა საქვეყნო ცნობილ ჟურნალში „Приборы и техника эксперимента“ რომელიც ინგლისურად ითარგმნებოდა და ამერიკაში ვრცელდებოდა. თაზაძე-ხანთაძის ეს ტანდემი დღესაც ნაყოფიერად მუშაობს, რისი ნათელი გამოვლინებაა უკანასკნელ ხანებში საერთაშორისო პარტიზორული ურთიერთობის ფარგლებში გამოქვეყნებული სტატიები.

ინსტიტუტის „სპეცლაბორატორიის“ სახელით ცნობილი დანაყოფი, სადაც გოგი გააქმნეს, მთლიანად დახურულ თემშია მუშაობდა და მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. ეს თემები ეხებოდა იზოტოპ <sup>235</sup>U-ით ლეგირებული სპეციალური ფორმების მძლავრ ტერმოლოკის, რომელმაც ფართო გამოყენება ჰპოვა ბირთვული ენერჯეტიკული რეაქტორების მშენებლობაში რეაქტორის კონსტრუქციული კვანძების დასამზადებლად.

ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში პირველად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის „სპეცლაბორატორიაში“ დამუშავდა ბორის ვერტიკალური ზონური დნობით გასუფთავების ტექნოლოგია და შესაძლებელი გახდა მისი მონოკრისტალების გაზრდა. მიღებული პროდუქტების ელექტროფიზიკური, თერმული, დრეკადი და თერმოდინამიკური თვისებების დადგენის შედეგად ინსტიტუტში დამუშავდა რადიაციამდეგი ბორის კონტინერების წარმოების ტექნოლოგია, რომელიც მასშტაბურად განვითარდა ხარკოვის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში.

ინსტიტუტის „სპეცლაბორატორია“ ლენინგრადის (პეტერბურგი) სამხედრო-მექანიკური ინსტიტუტთან ერთად მონაწილეობდა კოსმოსური ხომალდის „სოიუზის“ ბორტს გარეთ დამონტაჟებული კბილანა გადაცემისათვის სპეციალური თვისებების მქონე მასალის შემუშავებაში, რომელიც ზემოაღნიშნულ პირობებში ლოკაციური და ენერგომომარაგების სისტემების ორიენტაციის რეგულირების მოქმედებებს უზრუნველყოფდა და ენერგომომარაგების სისტემების ორიენტაციის რეგულირების მოქმედებებს უზრუნველყოფდა.

სათანადო მასალის შერჩევა, ბატონი ფერდინანდის ხელმძღვანელობით წარმატებულად განხორციელდა. ამის შემდეგ „სპეცლაბორატორიის“ თანამშრომლებზე, მათ შორის ახალგაზრდა გოგი თაზაძეზე, დახურული საავტორო მონაწილეობა და იმ დროისთვის საკმაოდ დიდი ფულადი პრემია გაიცა.

ამავე პერიოდში „სპეცლაბორატორია“, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტთან ერთად მონაწილეობდა „რამაშკა“-ს კოდური სახელწოდებით ცნობილ გარდამქმნელების კვლევაში და მიზნად ისახავდა დაბალიმანძი კონტაქტური მასალების მიღებას.

აი, ამგვარ მეცნიერულ ორომტრიალში მოხვედა სრულიად ახალგაზრდა, ენერგიით და ოპტიმიზმით აღსავსე გოგი თაზაძე. აქ განვლო მან მეცნიერული კარიერის ყველა საფეხური ლაბორანტობიდან დირექტორობამდე, აქვე მიიღწია ინტელექტუალურ სრულყოფილებას, ჩამოყალიბდა როგორც ლითონებში სწრაფად მიმდინარე პრო-

# დიდი მამის დიდი შვილი


# ბიორბი თაზაძე – რაფორეასკორი და გამოგონებელი

ცესების მსოფლიო მნიშვნელობის მკვლევარი და საქართველოში მასალათმცოდნეობის მეცნიერული მიმართულების ერთ-ერთი თავკაცი.

1976 წელს გიორგი თაზაძემ დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1995 წელს სადოქტორო დისერტაციები.

მაგრამ, მთავარი და ძირითადი ის გახლავთ, რომ ინსტიტუტის კედლებში გ.თაზაძემ საფუძვლიანად აითვისა სტრატეგიული დანიშნულების სამეცნიერო თემბატის ნიუანსები და მოთხოვნები, კარგად გაერკვა თავდაცვითი ლონისძიებების ორგანიზებასა და მართვაში. მის საკანდიდატო დისერტაციაში დამუშავებული იყო გამდნარი ლითონების ზემოაღნიშნული სიჩქარეებით (10<sup>6</sup> გრად/წმ) გაცივების ორიგინალური დანადგარი. კვლევების შედეგად გ.თაზაძემ დაადგინა, რომ გარდამავალი ლითონების (Fe, Co, Ni, Ti, Zr, V, Hf) ბორიდები ზესწრაფი სიჩქარით გაცივების პირობებში კრისტალდებიან წვრილი დისპერსიული სტრუქტურის მქონე გადაჯერებული მყარი ხსნარებით წარმოქმნილი კვაზიფექტივის სახით. აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ ტერმინს კვაზიფექტივი. ეს ტერმინი გ.თაზაძემ დააპყვიდა 1980 წელს და ამით ხაზი გაუსვა მის მიერ მიღებული პროგრესის სტრუქტურის სრულ არაორდინარულობას, გენეზით უნიკალურობას. ამ კონტექსტში აუცილებლად უნდა მოვისხენით პროფ. დენი შეხტმანის (ისრაელი) სამუშაოებიც, რომელმაც ოთხი წლის შემდეგ, 1984 წელს სწრაფად გაცივებულ Al-Mn შენადნობებში ალმოანის მესურე რიგის სიმეტრიის მქონე კრისტალოგრაფიული წარმონაქმნები. ამ თვისებურების აღსანიშნავად შეხტმანმა თავის კრისტალს კვაზიკრისტალი უწოდა. 2011 წელს კვაზიკრისტალების აღმოჩენისათვის ისრაელის საიფას უნივერსიტეტის ტექნიონის პროფესორს დენი შეხტმანს ნობელის პრემია მიენიჭა. ეს შემთხვევა განსაკუთრებით ყურადსაღებია, ვინაიდან თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ მიღწევებს თანამედროვე მასალათმცოდნეობაში განსაზღვრავს ორი ფაქტორი – ტექნოლოგიური პროცესის და კვლევის მეთოდის სრულყოფილება. გ.თაზაძის მიერ დამუშავებული ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფილების შედეგად შესაძლებელი გახდა ბორის ნადნობისაგან სხვადასხვა სახის ნაკეთობის, მათ შორის ცილინდრული და სფერული ფორმის კონტინერების დამზადება. ამიტომ, შემთხვევით არაა, რომ კიევში, მასალათმცოდნეობის პრობლემების ინსტიტუტის დახურულ საბჭოზე დისერტაციის წარდგინების შემდეგ აღნიშნული ტექნოლოგია უმაღლესი დანიერგა ხარკოვის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში და საფუძვლად დაედო კრიტიკული მასის შესანახად განკუთვნილი კონტინერების დამზადებას.

ოთხმოცდაათიანი წლების ცნობილი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების შემდეგ გ.თაზაძე, როგორც უკვე დიდი გამოცდილების მქონე სტრატეგიული პრობლემათა მკვლევარი ექსპერტი, განწვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების სისტემაში. 1992-2004 წლებში მისი ინიციატივითა და პირადი მონაწილეობით საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა სამეცნიერო-ტექნიკური



# ბიორბი თაზაძე – რაფორეასკორი და გამოგონებელი

სამმართველო-სამსახური, რომელმაც ერთიან სისტემაში გააერთიანა თავდაცვითი დანიშნულების სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები და მრეწველობა. იგი წარმატებით უძღვევოდა და კოორდინაციას უწევდა სამხედრო დანიშნულების სამამულო ნაწარმის სერიულ წარმოებაზე მიყვანილი მრავალი დასახელების სამხედრო დანიშნულების ნაწარმი.

1997-2005 წლებში გ.თაზაძე საქართველოში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის NATO-ს კვლევებისა და ტექნოლოგიების ორგანიზაციის (RTO) და სახმელეთო შეიარაღების ჯგუფის (NAAG) ეროვნული კოორდინატორია. 1996 წელს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით გ. თაზაძეს მიენიჭა პოლკოვნიკის მორიგი წოდება და დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. გიორგი თაზაძე გახლავთ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი. გ. თაზაძე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამსახურთან ერთად ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას. 2004 წელს პოლკოვნიკის წოდებით გ. თაზაძე გადის თადარიგში და მთლიანად მეცნიერულ საქმიანობას უბრუნდება მშობლიურ ინსტიტუტში, 2006 წლიდან კი ინსტიტუტის დირექტორია.

გ.თაზაძის ხელმძღვანელობით ინსტიტუტში სინთეზირებულია სრულიად ახალი სალი შენადნობები, ლითონური და მალაქტეპერატიური კერამიკული ზეგამტარი მასალები, ბორის კარბიდი, ბორის ნიტრიდი, სილიციუმის კარბიდი და სხვა. პირველადია მიღებული თმს ტექნოლოგიით მანგანუმის სანარმოო ნარჩენებიდან (მანგანუმის მტვერი, შლამები და სხვა) მანგანუმით გამდიდრებული ლიგატურები, რაც ზოგადად სანარმოო ნარჩენების უტილიზაციის პერსპექტიული მიმართულებაა.

გ.თაზაძის ხელმძღვანელობით აღნიშნის ღირსია გ. თაზაძის ხელმძღვანელობით სინთეზირებული ახალი თაობის საჯავშენე კომპოზიციური კერამიკული მასალა „თორი“. მასში რეალიზებულია კინეტიკური დამრტყმელის დამუშრუქების პრინციპულად ახალი მიდგომა – ტყვიის კინეტიკური ენერჯის მაქსიმალური დისიპაცია კომპოზიციური მასალის ულტრადისპერსულ სტრუქტურაში. თავისი ბალისტიკური და ნონითი მახასიათებლებით კომპოზიციური მასალა „თორი“ უტოვდება ან უკეთესია მის საუკეთესო საზღვარგარეთულ ანალოგებთან შედარებით. ეს დადასტურებულია პრაქტიკული სროლითი გამოცდებით, როგორც საქართველოში, ასევე საფრანგეთში, ისრაელსა და გერმანიაში. ამავდროულად ტექნოლოგიური მიმართულებით პარამეტრებით სინთეზირებული კერამიკული კომპოზიტი შეესაბამება ყველაზე ეკონომიურ და ფართოდ გამოყენებულ საჯავშენე კერამიკულ მასალას – კორუნდს, ხოლო ბალისტიკური მდგრადობით უტოვდება ბორის კარბიდს.

საჯავშენე კომპოზიციის (B<sub>4</sub>C-TiB<sub>2</sub>-Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>) სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებისათვის 1998 წელს გ.თაზაძეს თანაავტორებთან ერთად მიენიჭა

საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის სფეროში შეტანილი წვლილისათვის.

მნიშვნელოვანი შედეგებით აღინიშნა გამოკვლევები მრავალფუნქციური ლითონკერამიკული მასალების სფეროშიც. ენერგოდამზოგი და ეკოლოგიურად სუფთა თვითგავრცელებადი მალაქტეპერატიური სინთეზის (თმს) ტექნოლოგიით მიღებულია უნიკალური თვისებების მქონე მასალები, მათ შორის ლითონური AlN ტიპისა და კერამიკული DnCG ტიპის ზეგამტარი მასალები და მათგან ნაკეთობები. ამ მიმართულებებით შესრულებულ მეცნიერულ სამუშაოთა ციკლს 2013 წელს გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია მიენიჭა.

ამჟამად გ.თაზაძე, თვითგავრცელებადი მალაქტეპერატიური სინთეზის (თმს) ცნობილი სპეციალისტი, საქართველოში ამ მიმართულების სამეცნიერო სკოლის ორგანიზატორი და ფუძემდებელია.

გ.თაზაძე 220-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის ავტორია, მათ შორის 2 მონოგრაფია, 42 საავტორო მონაწილეობა და პატენტია. შრომების უმრავლესობა გამოქვეყნებული და მოხსენიებულია საზღვარგარეთ.

საერთაშორისო რეზიუმანსი გამოიწვია გ.თაზაძის და მისი ამერიკელი კოლეგის, აშშ-ის ბერკლის ქიმიური ინჟინერიისა და მასალათმცოდნეობის უნივერსიტეტის პროფესორის ალექსანდრე შტენბერგის ერთობლივმა მონოგრაფიამ „Получение специальных материалов методами самораспространяющегося высокотемпературного синтеза“. Тбилиси, Издательство Меридиანი, 2011), რომლის გადამუშავებული ინგლისურენოვანი ვარიანტი 2013 წელს დასტამბა ცნობილმა გამომცემლობამ „შპრინგერ“-მა, ხოლო 2016 წელს ჩინურ ენაზე გამოიცა ჩინეთში, გონჯუანის პროვინციაში.

2017 წელს უკრაინის მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ მასალათმცოდნეობის სფეროში შესრულებული პიონერული სამუშაოებისათვის გ.თაზაძე დააჯილდოვა აკადემიის უმაღლესი ჯილდოთი – აკადემიკოს ვ. ვერნადსკის სახელობის ოქროს მედლით. აქვე მითხვეს შევასხენებთ, რომ აკადემიკოსი ვ.ი. ვერნადსკი (1863-1945) იყო უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დამაარსებელი და მისი პირველი პრეზიდენტი. იგი გახლდათ უდიდესი მეცნიერი მინეროლოგი და კრისტალოგრაფი, ბიოგეოქიმიის მამამთავარი, რომელმაც პირველმა განიხილა არაორგანული მატერიალური სამყარო და სიცოცხლე, როგორც ერთიანი სისტემა და დასაბამი მისცა მომავლის უდიდესი მეცნიერული მიმართულების – ნეოსფეროს განვითარებას.

ჩვენი მიზნობის სრული ვერ იქნება, თუ არ შევეხეთ გ.თაზაძის ორგანიზაციულ საქმიანობას ინსტიტუტის დირექტორის პოსტზე. 2006 წელს ქვეყანაში განხორციელებული განათლებისა და მეცნიერების რეფორმის შედეგად ინსტიტუტი გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შემადგენლობიდან, მიიღო საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემის დაქვემდებარებაში მოექცა. ამ მომენტიდან ინსტიტუტის დირექტორად არჩეულ იქნა გ. თაზაძე.

გ.თაზაძის ინიციატივით ინსტიტუტში ჩატარებული რეფორმების შედეგად ინსტიტუტის ინტელექტუალური პროდუქტი სპეციალური მასალების, ახალი ფორმების, ფუნქციონალური მეტალურგიის, კომპოზიციური საჯავშენე და საკონსტრუქციო კერამიკული მასალების და ა.შ. სახით მოთხოვნადი გახდა და ინსტიტუტის საქმიანობა სახელმწიფოს ინტერესების სფეროში მოექცა. შედეგად, 2011 წელს ინსტიტუტი განათლების სამინისტროს დაქვემდებარებიდან გადაცვილი იქნა თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში და სსიპ-ის სახით გაერთიანდა სსსტც „დელტა“-ში.

გ.თაზაძის წარმატებულმა საქმიანობამ ინსტიტუტის დირექტორის პოსტზე გამოიყვანა ინსტიტუტი კოლავის მდგომარეობიდან, მოიყვანა დღემდე და ყველა დაარწმუნა მის მიერ ჩატარებული რეფორმების სიკეთეში, რომლის ნათელი გამოვლინებაა ინსტიტუტისთვის აშენებული ლაბორატორიული და საცდელ-სანარმოო უბნების თანამედროვე კომპლექსი, რომელიც 2018 წელს შევიდა ექსპლუატაციაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ჯანმრთელობის და ახალწარმატებულ უსურველს ბატონ გიორგის მომავალ შივ, მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის დარგის ნიშნულზე მდგარი გამომწვევების გადაჭრაში.

ახლის ძიების სურვილი ნუ მოგიშლით ღმერთმა, ბატონო გიორგი!

**ბიორბი თაზაძე,**  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი.



# საქონლის ადგილნარმოშობის დასახელება

## საქონლის ადგილნარმოშობის დასახელების „ახმეტა“ ღვინის ნარმოშობის სპეციფიკაცია

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტის „საქონლის ადგილნარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აქვეყნებს სსიპ - „ღვინის ეროვნული სააგენტოს“ მიერ საქპატენტში წარმოდგენილი განაცხადის მასალებს.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში არ შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ადგილნარმოშობის დასახელების რეგისტრაციის შესახებ ცნობები შეტანილი იქნება ადგილნარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრში და გამოქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან სამი თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ის შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

### ახმეტა

განაცხადის №3493/06  
განაცხადის შეტანის თარიღი: 2019 30 10  
ადგილნარმოშობის დასახელება: „ახმეტა“  
საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება ადგილნარმოშობის დასახელების რეგისტრაცია: ღვინო  
განმცხადებლის სახელი და მისამართი: სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო, მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159, თბილისი (GE)

1. დასახელება: „ახმეტა“
2. დამატებითი აღნიშვნები: „ახმეტის მწვანე“
3. ტიპი, ფერი და ძირითადი მოთხოვნები „ახმეტა“ თეთრი ან ქარვისფერი ღვინოა.

ა) „ახმეტა“  
თეთრი შაქრიანობის მიხედვით შეიძლება იყოს მშრალი, ბუნებრივად ნახევრად მშრალი და ბუნებრივად ნახევრადტკბილი. მისი ორგანოლექტიკური და ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- მშრალი ღვინო – ღია ჩალისფერი, უხადო, გემოზე ნაზი, რბილი, ჰარმონიული, ხალისიანი, დახვეწილი, ამ გეოგრაფიული ადგილისთვის დამახასიათებელი ჯიშური არომატით, მინდვრის ყვავილების ტონებით. დავარგებისას ღვინოს უვითარდება მკვეთრად გამოხატული ბუკეტი ხილის ტონებით;
- ბუნებრივად ნახევრად მშრალი და ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინოები – ღია მომწვანო ოქროსფერი, უხადო, გემოზე ნაზი, რბილი, ჰარმონიული, ხალისიანი, დახვეწილი, ამ გეოგრაფიული ადგილისთვის დამახასიათებელი ჯიშური არომატით ხოლო ნახევრადმშრალი და ნახევრადტკბილი ღვინოებისთვის – 10,5 %-ზე ნაკლები;
- ფაქტობრივი მოცულობითი სპირტ შემცველობა მშრალი ღვინისთვის არ უნდა იყოს 11%-ზე ნაკლები, ხოლო ნახევრადმშრალი და ნახევრადტკბილი ღვინოებისთვის – 10,5 %-ზე ნაკლები;
- დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია არ უნდა იყოს 16 გ/ლ-ზე ნაკლები;
- შაქრიანობა მშრალ ღვინოში არ უნდა აღემატებოდეს 4 გ/ლ-ს, ნახევრად მშრალ ღვინოში უნდა იყოს 4-დან 18-მდე გ/ლ, ხოლო ნახევრად ტკბილ ღვინოში 18-დან 45-მდე გ/ლ;
- ტიტრული მჟავიანობა არ უნდა იყოს 5 გ/ლ-ზე ნაკლები;
- სხვა მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ბ) „ახმეტა“ ქარვისფერის ორგანოლექტიკური და ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ფერი – მუქი ქარვისფერიდან ჩაისფრამდე;
- არომატი და გემო – სხეულიანი, ენერჯიული, ექსტრაქტული და ხავერდოვანი, კარგად გამოხატული ჯიშური არომატით, ზომიერი და რბილი სიმწკლარტით, რაც მის ტიპურობას განაპირობებს. დავარგებისას ღვინოს უვითარდება მკვეთრად გამოხატული ბუკეტი ხილის ტონებით; უნდა ახასიათებდეს ჭაჭაზე მაცერაციის დამახასიათებელი მთრიმლაგი გემო;
- ფაქტობრივი მოცულობითი სპირტ შემცველობა არ უნდა იყოს 12,0 %-ზე ნაკლები;
- დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია არ უნდა იყოს 22 გ/ლ-ზე ნაკლები;
- ტიტრული მჟავიანობა არ უნდა იყოს 5 გ/ლ-ზე ნაკლები;
- სხვა მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

4. წარმოების გეოგრაფიული არეალი და ზონები  
„ახმეტის“ მიკროზონა მდებარეობს შიდა კახეთში, მდინარე ალაზნის ზედა წელში. ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში. სამხრეთ-დასავლეთიდან და სამხრეთიდან მას ესაზღვრება ცივი-გომბორის ქედი, დასავლეთიდან – კახეთის ქედი, ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან კავკასიონის ქედი, ხოლო აღმოსავლეთიდან და სამხრეთ აღმოსავლეთიდან – თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვარი.

„ახმეტის“ მიკროზონა, ქ. ახმეტის გარდა, მოიცავს შემდეგ სოფლებს: საკობიანო, მატანი, ქისტაური, არაშენდა, ახშანი, ახშინსველები, ინგეთი, კოგორი, ოსიაური, საჩალე, ოყო, ალავერდი, კოლოთი, ჩაბინაანი, ხორხელი, ზემო ხოდაშენი, აწყური, ახალდაბა, ჩარეკაული, ზემო ალვანი, ხორბალო, ქვემო ალვანი, ბაბანეული, მადრანი, ფინხოვანი და არგოხი.

5. ვაზის ჯიშები  
„ახმეტა“ თეთრი შეიძლება დამზადდეს მხოლოდ ახმეტის მიკროზონაში მოწვეული კახურის მწვანის ჯიშის ყურძნიდან და დაუშვებელია სხვა ჯიშების გამოყენება. „ახმეტა“ ქარვისფერის დამზადებისას დასაშვებია კახურ მწვანეს დაემატოს ამავე მიკროზონაში მოწვეული ქისის და/ან ხიხვის ჯიშის ყურძენი ჯამურად 15%-მდე.

6. ვენახის გაშენება, სხვლა-ფორმირება და მოვლა  
• ახმეტის მიკროზონაში ღვინო „ახმეტის“ დასამზადებლად განკუთვნილი სამეწარმეო ვენახები გაშენებული უნდა იყოს 450-800 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან;

- ვენახის რიგთაშორის მანძილი შეიძლება იყოს 1-დან 2,5 მეტრამდე;
- ვაზთაშორის მანძილი რიგში 0,8-1,5 მეტრი;
- შტამბის სიმაღლე – 60-90 სმ;
- სხვლის ფორმა – ცალმხრივი ან ორმხრივი ქართული, ან თავისუფალი.

ვაზის გაშენება, მისი გასხვლა-ფორმირება და დაცვა მავნებლებისა და დაავადებებისაგან, აგრეთვე, ნიადაგის დამუშავება, მისი განაყოფიერება და სხვა ოპერაციები ხორციელდება ყურძნის მწარმოებლის მიერ შერჩეული აგროტექნიკური ღონისძიებების შესაბამისად.

7. ყურძნის სიმწიფე, რთველი, ტრანსპორტირება

- „ახმეტა“ მზადდება მხოლოდ მწიფე ყურძნისაგან. ყურძნის შაქრიანობა კრეფის დროს არ უნდა იყოს 20%-ზე ნაკლები მშრალი და ნახევრად მშრალი ღვინისთვის და 22%-ზე ნაკლები – ნახევრად ტკბილი ღვინისთვის;
- ყურძნის ტრანსპორტირება დასაშვებია მხოლოდ ხის ან პლასტმასის ყუთებით, უჰანგი ფოლადისაგან დამზადებული ან სპეციალური სადებავით შედგენილი ძარებით.

- დაუშვებელია ყურძნის ტრანსპორტირებისას პოლიეთილენის პარკების და/ან ტომრების გამოყენება.
- ტრანსპორტირებისას ყურძენი მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული შესაძლო დაბინძურებისაგან.

8. ყურძნის მოსავალი და ღვინის გამოსავალი:  
ყურძნის მოსავალი 1 ჰექტარ ვენახზე არ უნდა აღემატებოდეს 8 ტონას. ღვინის გამოსავალი არ უნდა აღემატებოდეს:

- 65,0 დალს – ერთი ტონა ყურძნიდან;
- 520,0 დალს – ერთი ჰა ვენახიდან.

9. ყურძნის გადამუშავება, ღვინის დამზადება და ჩამოსხმა

ღვინო „ახმეტის“ წარმოებისათვის განკუთვნილი ყურძენი მოწვეული უნდა იყოს მხოლოდ ახმეტის მიკროზონაში გაშენებული ვენახებიდან.

ყურძნის გადამუშავება და ღვინის დამზადება დასაშვებია მხოლოდ კახეთის ზონის ფარგლებში, ხოლო ბოთლებში ჩამოსხმა – კახეთის ზონის ფარგლებს გარეთაც, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

ამასთან, ყურძნის გატანა ახმეტის მიკროზონიდან გადასამუშავებლად და ღვინის გატანა კახეთის მევენახეობის ზონიდან ჩამოსახმელად დასაშვებია მხოლოდ მკაცრი აღრიცხვისა და კონტროლის პირობებში.

ღვინო „ახმეტა“ თეთრი მზადდება თვითნადი ტკბილის სრული ან არასრული ალკოჰოლური დუღილის გზით.

ღვინო „ახმეტა“ ქარვისფერის დამზადებისას ალკოჰოლური დუღილი მიმდინარეობს მხოლოდ ქვევრში, დურდოზე (ჭაჭა-კლერტის მთლიან რაოდენობასთან ერთად). ალკოჰოლური დუღილის დამთავრების შემდეგ, ქვევრს გადაავსებენ ანალოგიური ღვინით და დაყოფენებენ დურდოზე არანაკლებ რთველის მომდევნო წლის 1 თებერვლისა.

ღვინო „ახმეტის“ წარმოებისას დასაშვებია მხოლოდ იმ ოპერაციების, მასალებისა და ნივთიერებების გამოყენება, რომლებიც ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით.

ღვინო „ახმეტის“ სამომხმარებლო ბაზარზე განთავსება დასაშვებია მხოლოდ სამომხმარებლო ტარაში დაფასოებული სახით.

10. კავშირი ღვინის განსაკუთრებულ ხარისხს, რეპუტაციასა და გეოგრაფიულ ადგილს შორის

ნიადაგი. ახმეტის მიკროზონის ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი ნიადაგური ტიპები და ქვეტიპები: 1) ყავისფერი გამოტუტული; 2) ყავისფერი; 3) მდელოს ყავისფერი; 4) ალუვიური კარბონატული; 5) ნეშომპალა-კარბონატული.

ყავისფერი ტიპური ნიადაგები საშუალო და დიდი სისქის, მძიმე და საშუალო თიხნარი, განვითარებული ლიოსისებრ თიხნარებზე და კონგლომერატების და ქვიშაქვების გამოფიტვის პროდუქტებზე. პროფილის სიღრმე 100-140 სმ-ს შეადგენს. კუმუსიანი ფენის სიღრმე საშუალოდ 20-30 სმ-ს შეადგენს. მის ზედაპირულ აკუმულაციურ პორიზონტს ახასიათებს კარგად გამოხატული მარცვლოვან-კაკლოვანი სტრუქტურა და კარბონატებს არ შეიცავს. მომდევნო, ქვედა პორიზონტი კაკლოვანი სტრუქტურისა და უმეტეს შემთხვევაში კარბონატებს არ შეიცავს. უფრო ღრმად ეს ნიადაგები ხასიათდება უსტრუქტურობით და „კირის თვლებით“ და „ძარღვებითა“ წარმოდგენილი.

გამოტუტულ ყავისფერ ნიადაგებში კალციუმის კარბონატები შედარებით ღრმად 80-100 სმ სიღრმეზე არის ჩარეცხილი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ნიადაგებში ყავისფერი ნიადაგების სხვა ქვეტიპების ილუვიურ-კარბონატულ პორიზონტებთან შედარებით უფრო ნაკლები სისქისაა.

მდელოს ყავისფერი ნიადაგების ზედა 20 სმ-იანი ფენა კაკლოვან-მარცვლოვანი სტრუქტურით და ფხვიერი აგებულებით ხასიათდება. სიღრმით აღნიშნული ნიადაგი წარმოდგენილია კაკლოვან-გორხოვანი და გორხოვან-ბელტოვანი სტრუქტურით, უფრო ღრმად – 120 სმ-დან ქვევით, ხასიათდება უსტრუქტურო აგებულებით და საკმაოდ მაღალი სიმკვრივით. გრანულომეტრიულ შედგენილობაში „ფიზიკური თიხის“ ფრაქციის (<0,01 მმ) შემცველობა პროფილში 64-87%-ის ფარგლებში მერყეობს. ფიზიკურ თიხაში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი <0,001 მმ ფრაქციის რაოდენობა – 67 %-მდე, რაც ადიდებს ნიადაგის ბმულობას, წებვადობას და სიმკვრივეს, რაც, თავის მხრივ, იწვევს ნიადაგის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გაუარესებას. ფიზიკური თიხისა და მიკრონული ფრაქციის სიჭარბე იწვევს აღნიშნული ნიადაგების სხვადასხვა ხარისხით დაწიდვას და გაღებებას.

ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები საშუალო სისქისაა, მძიმე თიხნარი და თიხიანი, ალაგ-ალაგ სუსტად განვითარებული და ჩამორეცხილი. ისინი განვითარებულია კირქვებზე და კირნარ კონგლომერატებზე.

ალუვიური კარბონატული ნიადაგები წარმოდგენილია კარბონატული ქვეტიპით, რომელიც ხასიათდება ვენტიკულარ პორიზონტებად სუსტი დიფერენციაციით, ცუდი სტრუქტურით, შრეობრივი აგებულებით და ხირხიანობით. აღნიშნული ნიადაგები წარმოდგენილია რელიეფის დახრილ და სწორ ფორმებზე, რაც ექსპოზიციასთან, განათებასთან და კლიმატურ პირობებთან ერთად იძლევა მაღალი ხარისხის ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების მიღების შესაძლებლობას.

ადამიანური ფაქტორი. მევენახეობა-მეღვინეობა ახმეტის რეგიონში, ისევე, როგორც დანარჩენ კახეთში, უსოვარი დროიდან იღებს სათავეს და მას ყოველთვის ეჭირა ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი იქ მცხოვრებთა სამეურნეო საქმიანობაში.

ვახუშტი ბაგრატიონი თავის შესანიშნავ ნაშრომში „საქართველოს გეოგრაფია“ განსაკუთრებით გამოყოფს მანავის, ახმეტის და კონდოლის ღვინოებს.

ღვინო „ახმეტა“ შექმნილია „სამტრესტის“ წამყვანი სპეციალისტების მიერ და ნახევრად ტკბილი ღვინის სახით გამოდის 1958 წლიდან. მას არაერთი მედალი აქვს მიღებული საერთაშორისო გამოფენებზე და კონკურსებზე.

ახმეტის მიკროზონის გეოგრაფიული მდებარეობა, რეგიონისთვის დამახასიათებელი მშრალი სუბტროპიკულიდან ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულზე გარდამავალი კლიმატი; მუქი ყავისფერი კარბონატული ნიადაგები, მწვანე კახურის ჯიშის ვაზის მიერ ამ მიკროზონაში გამოვლენილი გამორჩეული თვისებები განსაზღვრავენ ღვინო „ახმეტის“ განსაკუთრებულ ღირსებას.



11. ეტიკეტების განსაკუთრებული მოთხოვნები დასახელება „ახმეტა“ და აღნიშვნა „დაცული ადგილწარმოშობის დასახელების დეინო“ ეტიკეტზე შეფუთვაზე, ასევე, ღვინის თანხლებს დოკუმენტებში და სარეკლამო მასალებში უცხო ენებზე დაიტანება შემდეგნაირად:

ლათინური შრიფტით – AKHMETA  
Protected Designation of Origin ან/და PDO


რუსული შრიფტით – АХМЕТА  
Защищенное наименование места происхождения

12. აღრიცხვა და შეტყობინება  
„ახმეტის“ წარმოების და შენახვის ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვა და შეტყობინება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

13. ძირითადი საკონტროლო წერტილები  
დაცული ადგილწარმოშობის დასახელების დეინო „ახმეტის“ წარმოების პროცესის გაკონტროლების დროს მწარმოებელმა სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს უნდა დაუდასტუროს შემდეგი პარამეტრების შესაბამისობა:

Table with 2 columns: ძირითადი საკონტროლო პუნქტები (Main control points) and შეფასების მეთოდები (Assessment methods). Rows include vineyard registration, harvest, yield, quality control, and wine production stages.

14. წარმოების მაკონტროლებელი ორგანო  
წარმოების სპეციფიკაციის დაცვასა და ადგილწარმოშობის დასახელების მართვად გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.



# მსოფლიოს უდიდესი რადიოტელესკოპი

მსოფლიოს უდიდესი და ყველაზე მგრძობიარე რადიოტელესკოპი უკვე ოფიციალურად გაიხსნა. რადიოტელესკოპმა FAST-მა პირველი სინათლე 2016 წელს იხილა, მაგრამ მას შემდეგ იმყოფებოდა ტესტირებისა და შემოწმების რეჟიმში.

FAST-ის წარმოადგენს ხუთასმეტრიანი აპერტურის სფერულ ტელესკოპს. მეტსახელად „ტიანიანს“ უწოდებენ, რაც „ცის თვალს“ ნიშნავს. აშენებულია სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთის ქალაქ გუიჯოუში, ბუნებრივ დეპრესიაში.

მისი ერთ-ერთი სამეცნიერო მიზანია პულსარების შესწავლა. 2017 წლის აგვისტოში ტელესკოპმა ორი პულსარი უკვე აღმოაჩინა.

მიუხედავად იმისა, რომ ტელესკოპის დიამეტრი 500 მეტრია, ნებისმიერ მოცემულ დროს შესაძლებელია მისი მხოლოდ 300-მეტრიანი სეგმენტის გამოყენება.

FAST-ის უმძლავრესი რადიოტელესკოპია და მეცნიერები მისგან მრავალ უმნიშვნელოვანეს აღმოჩენას ელოდებიან, განსაკუთრებით პირველ წლებში.

FAST-ის სამეცნიერო მიზნებს შორის არის:

- ნეიტრალური წყალბადის ფართომასშტაბიანი კატალოგიზაცია;
- პულსარებზე დაკვირვება;
- ვარსკვლავთშორისი მოლეკულების დაფიქსირება;
- ვარსკვლავთშორისი საკომუნიკაციო სიგნალების დაფიქსირება;
- პულსარების რეგულირების მონაცემები.

FAST-ის ასევე ჩაატარებს ცის ორ კატალოგიზაციას, რაც დაახლოებით ხუთ წელიწადს გაგრძელდება. შეგროვებულ მონაცემთა ანალიზს კიდევ ათი წელი დასჭირდება.

FAST-ის სიმძლავრე ასტრონომიათა ვის უკვე აშკარაა. ორი წლის განმავლობაში ტელესკოპმა 102 პულსარი აღმოაჩინა. სააგენტო Xinhua იქვე თავმოყრილი უნდა იყოს, რომ ეს ოდენობა აღემატება ამავე პერიოდში ამერიკელ და ევროპელ მკვლევართა მიერ აღმოჩენილ პულსართა ჯამს.

FAST-ის მგრძობიარეობა პულსარებს 50-ჯერ უფრო ზუსტად გაზომავს. პირველად ისტორიაში მეცნიერებს შეეძლე-

ბათ უკიდურესად დაბალი სიხშირის გრავიტაციული ტალღების გაზომვაც. ცის დაფარვის თვალსაზრისით, FAST-ის წინ გადადგმული უზარმაზარი ნაბიჯია რადიოასტრონომიაში. ის ოთხჯერ ზრდის ამჟამინდელ რადიოტელესკოპთა მიერ კოსმოსის დაფარვის მოცულობას.

პეკინის უნივერსიტეტის ასტროფიზიკოსის, ლი ლეიას განცხადებით, FAST-ით მეცნიერებს შეეძლება, აღმოაჩინონ აქამდე უცნობი ვარსკვლავები, კოსმოსური ფენომენები და სამყაროს კანონები, შეიძლება, არამინიერი სიცოცხლეც კი.

ჩინეთი ყოველთვის ზედმეტად ამყობს თავის სხვადასხვა მიღწევით, მაგრამ FAST-ის შემთხვევაში, ქვეყანას ამის საფუძველი ნამდვილად აქვს.

ტელესკოპის მშენებლობა მისი იდეის გაჩენიდან 20 წლის შემდეგ, 2016 წელს დასრულდა. დაიხარჯა 170 მილიონი აშშ დოლარი.

ჩინეთი გეგმავს, რომ ტელესკოპის გამოყენების უფლება საერთაშორისო მკვლევარებსაც მისცეს.

FAST-მა უკან ჩამოიტოვა მსოფლიოში მანამდე უდიდესი რადიოტელესკოპი, პუერტო-რიკოში მდებარე არესიბოს ობსერვატორია. ორივე ტელესკოპი დიდი პარაბოლური თევზია.

FAST-ის არესიბოზე ღრმად, რაც მას ხედვის უფრო ფართო კუთხეს აძლევს. არესიბო მთელ ზედაპირს პირდაპირ მის ზემოთ მოქცეულ ობიექტებზე დაკვირვებისთვის იყენებს, მაგრამ ობიექტები ყოველთვის ზენიტში არ არის. ამის გამო, 221-მეტრიანი ტელესკოპი მათ დახრილი კუთხიდან აკვირდება.

გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ჩინეთს სერიოზული პრობლემა შეექმნა რადიოტელესკოპის პერსონალის დაკომპლექტებისას, რადგან ქვეყანას საკმაოდ ცოტა რადიოასტრონომი ჰყავს. სცადეს მეცნიერების შეგროვება სხვადასხვა ქვეყნიდანაც.

გარდა ამისა, ჩინეთი ასევე ეძებს FAST-ის უფრო მეცნიერს, მაგრამ თუ გავრცელებულ ცნობებს დავუჯერებთ, კვალიფიციურ მეცნიერებს ამის სურვილი არა აქვთ, რადგან გაურბიან ჩინეთის ძლიერ ავტორიტარულ მიდგომებს.

მომზადებულია Universe Today-ს მიხედვით. მიხეილ ჭავჭავაძევილი

Advertisement for 'საქართველოს რესპუბლიკის გამოსანერგ მიმართით' (Towards the Republic of Georgia). Includes phone numbers: 577 991651, 577 308847, 599 982777, 579 799908.





# ბორჯბად ჩანაფიქრი...

## „თუ ფრანგის საკითხი გახდა საქართველომ ამ თემაზე არ უნდა ივარჯიშოს, რადგან ეს იქნება უთავმოყვარეობა“

საქართველო-რუსეთის შორის ფრენების აღდგენასთან დაკავშირებით ზუსტი თარიღი ჯერ არ დასახელებულა, ისევე როგორც უცნობია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს კრემლი. საქართველოს პრემიერ-მინისტრის საგანგებო წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე აცხადებს, რომ ფრენების აღდგენასთან დაკავშირებით ახალი ინფორმაცია შესაძლოა, რუსეთის წარმომადგენელ გრიგორი კარასინთან მორიგ შეხვედრაზე გამოიკვეთოს, რაც სავარაუდოდ, მარტის დასაწყისში გაიმართება.

სრულიად არაგონივრული შეზღუდვა მოიხსნება და რუსეთთან პირდაპირი ფრენები აღდგება.

„უსაფრთხოების თემები აღარ არის დღის წესრიგში. არა მაქვს ინფორმაცია, მაგრამ, საღი აზრიდან გამომდინარე, მაქვს მოლოდინი, მიხვდებიან, რომ ამ შეზღუდვას არანაირი აზრი არ აქვს“, – განაცხადა ნათია თურნავამ.

როგორც ცნობილია, რუსეთ-საქართველოს შორის ფრენების შეწყვეტის შესახებ ბრძანება რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 2019 წლის 21 ივნისს გამოსცა. ოფიციალურად რუსეთ-საქართველოს შორის პირდაპირი ფრენები გასული წლის 8 ივლისს შეწყდა. რუსეთის გადაწყვეტილებით, ქვეყნებს შორის პირდაპირი ფრენები ექვსმა რუსულმა და ორმა ქართულმა ავიაკომპანიამ შეაჩერა.

ამასთან, ვლადიმერ პუტინმა რუსეთის მთავრობას დაავალა, საქართველოში დროებით მყოფი რუსეთის მოქალაქეები ქვეყანაში დაებრუნებინათ. ასევე დაავალა ტურისტებისთვის, აკრძალვის პერიოდში არ გასცენ საგ-

ზურები რუსეთიდან საქართველოში.

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის განცხადებით, რუსეთ-საქართველოს შორის ფრენების აღდგენა როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად უდავოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა.

„თუმცა, ცოტათი არის ბოროტი ჩანაფიქრი, იმ მხრივ, რომ რუსეთი ყოველთვის რაღაც მიზნებით მოქმედებს და მის მოქმედებაში არანაირი მორალური მხარე არ არის, უკან არაფერზე არ იხევის. ამიტომ ყოველთვის გვაქვს იმის განცდა, რომ მტერი საფანჯს გვიგებს. ცუდი არ არის ეს დამოკიდებულება სიფრთხილისთვის, მაგრამ რუსეთის მიზნები იმდენად შორს წავიდა, მსოფლიოს მოედო უკვე, ამიტომ არ მგონია, რომ მას ახლა საქართველოსთვის ეცალკოს და რაიმე ვერაგული ჩანაფიქრი ჰქონდეს.“

ფრენების ეს უაზრო შეფერხება, რაზეც პუტინის ხელისუფლებას თავად რუსებიც აკრიტიკებენ, პოპულარობას უკარგავს თავად რუსეთის ხელისუფლებას. საქართველოში ჩამოსვლის მსურველი ბევრია და ამ აკრძალვით სურვილს ვერ ისრულებენ. ამიტომ, რატომ არ უნდა გადადგას ეს ნაბიჯი? ეს კეთილი ნება არ არის, ვფიქრობ, უფრო პრაგმატიზმია ამის უკან“, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძე.

ექსპერტი ბია ხუბაშვილი ამბობს, რომ რუსეთ-საქართველოს შორის ფრენების თემა ძალიან გაზვიადებულია და პოლიტიკის რაღაცა უპირატეს თემად იქცა. მისი თქმით, ერთადერთი რაც მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში, ეს არის ჰუმანიტარული მიმართულება.

„საქართველოს ძალიან ბევრი მოქალაქე იძულებულია, რომ რუსეთში იმუშაოს და მათთვის მნიშვნელოვანია ნაკლები პრობლემებით სამშობლოსთან კავშირი. ამ მხრივ არის მნიშვნელოვანი ფრენების აღდგენა. მაგრამ ამას, როგორც პოლიტიკის ქვაკუთხედზე ლაპარაკი, როდესაც პარლამენტში ერთი დედა არ უგინებიათ ერთმანეთზე, საერთოდ რაზე ვლაპარაკობ.“

აქ არის კეთილი ნების საკითხი, თუ რუსეთი ამ თემას გახდის სავაჭროდ, ასეთი სავაჭრო თემა ბევრია, დაწყებული ნატოზე უარის თქმით და დამთავრებული ვინმე რუსი კრიმინალის გადმოცემით. თუ ფრენების საკითხი გახდა სავაჭრო თემა, ვფიქრობ, საქართველომ ამ თემაზე არ უნდა ივარჯიშოს. იმ პირობებში, როდესაც ჩვენ თვითონ შეწყვეტილი გვაქვს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა და ოკუპანტს ვეძახით, სვენა, მოდო ფრენები აღადგინე, თორემ დაგიღუპებითო, მინიმუმ ეს არის უთავმოყვარეობა.

რა დღეში ვართ, თურმე რუსი ტურისტების გარეშე ეკონომიკა ჩამოიქცევა; რუსული ფრენების გარეშე რაღაცა საშინელება და კატაკლიზმა ელოდება ქვეყანას; ასეთი უბედურები და დაჩაჩანაკებულები ვართ, რომ თურმე რუსულ თვითმფრინავებზე ყოფილა ამ ქვეყნის ბუდი დამოკიდებული“, – ამბობს for.ge-სთან საუბრისას ბია ხუბაშვილი.

მართა ლაბაძე

## აშშ-ის სამხედრო წარმომადგენლობაში ვიზიტის რეპორტის ნიშნულს მიაღწია



აშშ-ის სამხედრო წარმომადგენლობაში ევროპაში რეპორტულ ნიშნულს მიაღწია. ეს განცხადება ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტისა და თავდაცვისა და უსაფრთხოების ქვეკომიტეტის ერთობლივ სხდომაზე გააკეთა.

„დღეს ევროპაში ამერიკელი სამხედროების რაოდენობა, საუკუნის დასაწყისთან შედარებით, გაცილებით მეტია. რამდენიმე კვირაში დაიწყება მასშტაბური სამხედრო წვრთნები „დამცველი 2020“, რომელშიც მონაწილეობის მიზნით, აშშ-დან ევროპაში 20 ათასი სამხედრო ჩავა. პარადოქსი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა უთანხმოების მიუხედავად, ნატო და აშშ დღეს უფრო მეტს ვაკეთებთ ერთად, ვიდრე როდისმე გავიკეთებია“, – განაცხადა სტოლტენბერგმა.

მისივე თქმით, ევროკავშირს დღეს ნატოსა და აშშ-ის მონაწილეობა სჭირდება, რათა „რუსეთი შეაკავოს“ და მოსკოვთან შეიარაღების კონტროლსა და ტერორიზმთან ერთობლივ ბრძოლაზე დიალოგი გაგრძელდეს.

## რუსები მუშაობენ მოსახლეობას ბომბაჟზე

სირიაში ავიაიერიშების შედეგად 18 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, მათ შორის 13 ბავშვია. ვრცელდება ინფორმაცია, რომ იერიშები სირიის ტერიტორიაზე რუსულმა ავიაციამ მიიტანა. როგორც სააგენტო „როიტერთან“ საუბარში სირიელი უფლებადამცველები აცხადებენ, იდობისა და ალექსოში მშვიდობიანი მოქალაქეების მკვლელობაზე პასუხისმგებლობა რუსებს ეკისრება.

სირიის სახელმწიფო მედია ავრცელებს ინფორმაციას, რომ მებომბებების მიერ ქალაქ ალექსოზე მი-

ტანილი სარაკეტო დარტყმების შედეგად ორი ქალი და ერთი ბავშვი დაიღუპა. რუსეთის ავიაცია მხარს უჭერს ბაშარ ასადის არმიას, რომელიც მებომბებების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს უტყვეს. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში, დაბომბვების შედეგად ათობით ათასმა სირიელმა სახლი დატოვა და თურქეთის საზღვრისკენ გაიქცა. გაეროს ცნობით, მხოლოდ იდობის პროვინციიდან იძულებით გადაადგილება 350 000 ადამიანს მოუწია.

## დავოსში ჯაშუშობაში აქტიური როლი დაადასტურეს

დავოსში ეკონომიკური ფორუმის დაწყებამდე ჯაშუშობაში ექვმიტანილი რუსები დააკავეს. ინციდენტი გასული წლის აგვისტოში მოხდა. დაკავებულებს დიპლომატიის პასპორტები ჰქონდათ და ფორუმის ჩატარების აღდგენა, სავარაუდოდ, მოსასმენი აპარატურის დამონტაჟებას აპირებდნენ.

როდესაც რუსები დააკავეს, მათ პოლიციელებს უთხრეს, რომ ისინი სანტექნიკოსები არიან. სამართალდამცველები გაკვირვებულნი დარჩნენ, რომ რუსი სანტექნიკოსი შემკვებლები დავოსში სამი კვირით რჩებოდნენ. მოგვიანებით, მათ პოლიციას დიპლომატიური პასპორტები აჩვენეს. როგორც „ფაინენშელთაიმი“ წერს, მიუხედავად იმისა, რომ რუსები ჯაშუშობაში იყვნენ ექვმიტანილები, ისინი გაათავისუფლეს. ამის შემდეგ მათ შვეიცარია დატოვეს.

## აშშ-ჩინეთის უთანხმოების ბაჟი ვეროპაში რეპორტირდება

ევროპაში რეპორტირდება აშშ-ჩინეთის სავაჭრო უთანხმოების პირველი ფაზის გამო შესაძლოა, 11 მილიარდი დოლარი დაკარგონ. ამის შესახებ კილის უნივერსიტეტის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნაშია ნათქვამი.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ყველაზე მეტად ეს უთანხმოება გერმანიას, კერძოდ კი თვითმფრინავებისა და ავტომობილების მწარმოებელ გერმანულ კომპანიებს დაზარალებს. დასკვნის ავტორების ვარაუდით, 2021 წელს აშშ-დან ჩინეთში გარკვეული პროდუქციის ექსპორტი ე.წ. სავაჭრო ომის დაწყებამდე დაფიქსირებულ 2017 წლის მაჩვენებელთან 95 მილიარდი დოლარით გაიზარდება.

აშშ-მა და ჩინეთმა სავაჭრო შეთანხმება 15 იანვარს გაფორმდა. ახალი შეთანხმება მოლაპარაკებების პირველ ფაზას აჯამებს. მდგომარეობის განმარტებაზე მუშაობა მეორე ფაზის ფარგლებში გაგრძელდება. აშშ-სა და ჩინეთს შორის სავაჭრო ომი 2018 წლიდან მიმდინარეობს.

## პრაგში პროტესტის ინიციატივა მოხდა

ირანში ხელისუფლების წინააღმდეგ პროტესტი გრძელდება. ბაღდადში აქციის მონაწილეებმა პოლიციას ქვეები ესროლეს. სამართალდამცველებმა დემონსტრანტებს ცრემლმდენი გაზით და რეზინის ტყვიებით უპასუხეს. სამშაბათს გამართულ აქციაზე ერთი ადამიანი დაიღუპა, კიდევ ექვსი კი ორშაბათის დემონსტრაციებზე ემსხვერპლა.

აქციის მონაწილეები პრემიერ-მინისტრს და პირების შეუსრულებლობაში ადანაშაულებენ. ადენ აბდულ მადი თანამოქალაქეებს ახალი მთავრობის ფორმირებას ჯერ კიდევ შარშან, შემოდგომაზე შეჰპირდა.

## საბერძნეთს ქალი პრაზიდენტი ეყოლება

საბერძნეთის პარლამენტმა პირველად ქვეყნის ისტორიაში ქალი პრეზიდენტი აირჩია. ქვეყნის პრეზიდენტი კატერინა საკელაროპულუ გახდა, რომელიც ადრე სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელი იყო.

63 წლის საკელაროპულუს 300 დეპუტატიდან 261-მა დაუჭირა მხარი.

საბერძნეთის პრეზიდენტს ცერემონიალური როლი აკისრია, მას ხუთი წლის ვადით ირჩევენ. კატერინა საკელაროპულუ მოვალეობის შესრულებას 13 მარტიდან დაიწყებს.







### მუშათა სფეროში მუშაობის საიდუმლო

– მუშაობის საიდუმლო, – ამბობენ გამრჯე, უნარები კაცზე, მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს მწერები სულაც არ ყოფილან სამაგალითო „მუშაობის დამკვირვებლები“.

არიზონის (აშშ) უნივერსიტეტის მკვლევარები დაკვირვებისას ჭიანჭველების ცალკეული ჯგუფის წევრებს განსხვავებული ფერის ნიშნებს ადებდნენ და აღმოჩნდა, რომ „ჭიანჭველასავით მუშაობელი“ მწერთა მხოლოდ 3 პროცენტია!

თავდაპირველად მეცნიერებმა ივარაუდეს, რომ ჭიანჭველების ცვლებით, ანდა რაღაც სხვა აკორდული მეთოდებით მუშაობენ, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ მუშაობის საიდუმლო ყოველგვარი დასვენების გარეშე მუშაობდნენ, ზარმაცები კი, როგორც იტყვიან, „მუცლებს ისტელებდნენ“.

შემდეგ მკვლევარებმა შეამოწმეს ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ „უსაქმურები“ რაღაც სხვა ფუნქციებს ასრულებენ, ვთქვათ, საგუშაგო-დაცვით-სადაზვერვო საქმიანობას ეწევიან, მაგრამ ეს აზრი მცდარი აღმოჩნდა.

საიდუმლო გაცხადდა მას შემდეგ, რაც ენტომოლოგებმა კოლონიას „დამკვირვებლებს“ დაახლოებით 20 პროცენტი მოაცილეს. მათი ადგილი თანდათანობით ყოფილმა უსაქმურებმა დაიკავეს, რომლებმაც „საქმის კეთება“ ორ კვირაში ისწავლეს.

ფაქტობრივად, გამოვიდა, რომ უსაქმური ჭიანჭველები ერთგვარ „შრომით რეზერვს“ წარმოადგენდნენ, რომლის წევრები მუშა ჭიანჭველების რიგებში დანაკლისს ავსებენ – ამ სტრატეგიის წყალობით კოლონია სწრაფად ახერხებს ადგენას კრიზისებისა და სტიქიური უბედურებების დროს.

### სარისკო ნაწარმ-შედეგი

წლის ცივ დროში მატულობს ინფექციურ დაავადებათა რისკი, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვეულებრივ „გაცივებას“ ვეძახით. ცხადია, საფრთხე თითოეულ ჩვენგანს ემუქრება, მაგრამ, თურმე, განსაკუთრებული „საფრთხის ზონაში“ წვერულვაშიანი მამაკაცები ყოფილან.

თავზე ან სახეზე თმა – ესაა მიკრობებისა და ვირუსების შემწოვი ფილტრი. ნესტი და სითბო, რომლებიც სუნთქვის დროს ულვაშსა და წვერს ათბობენ, ვირუსების გამრავლებისთვის იდეალურ პირობებს ქმნიან. სწორედ ამის გამოა, რომ წვერულვაშიანი მამაკაცები არა მარტო თვით დაავადების მაღალი რისკის შემცველი, არამედ ვირუსებისა და ინფექციების გავრცელების წყაროებიც არიან, რადგან მათთან მჭიდრო კონტაქტების დროს (მოხვევა, კოცნა) ავადმყოფობა გადამდებიან.

თუკი ამ საფრთხის მიუხედავად, კაცს წვერულვას გაპარსვის სურვილი მაინც არა აქვს, მაშინ „გრიპიანობის მომატებული საფრთხის“ პერიოდებში მან თმის საფარს განსაკუთრებულად უნდა მოუაროს: ყოველდღიურად დაიბანოს (სასურველია სარეცხი საშუალებების გამოყენებით), იდეალში კი – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებიდან ყოველი დაბრუნების შემდეგ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ისაა, რომ ხშირად ავიწყდებათ ის თემები, რომლებიც ცხვირში



იზრდება – ავადმყოფობის შეყრის რისკს ისინიც ზრდიან. ამიტომ საჭიროა მათი შეკრევა, ან, სულაც, მოპარსვა.

### სტრესის ხუთი უჩვეულო „ნაბეჭდი“

დილის გამამხნეველი ვარჯიში, გასეირნება და გულთბილი ჩახუტება – ესენია სტრესთან ბრძოლის ტრადიციული ხერხები, რომლებსაც შეგიძლიათ ისეთივე მარტივი ხუთიც დაუმატოთ.

**ღეჭეთ.** ეს სახის კუნთებს ადუნებს, ცუდი აზრების გასაფანტად კი ეცადეთ, რამე ხრაშუნა მიირთვათ.

**ყური დაიზილეთ.** ყურის ნიჟარის მასაჟი ხელს უწყობს სიამოვნების ჰორმონის – სეროტონინის გამოთქმას.

**ეცადეთ, გამოახოთ სასიამოვნო სურნელები.** ეს ისეთი სუნი უნდა იყოს, რომელიც კარგ მოგონებებს აღგიძრავთ. ნერვების დასამშვიდებლად კი გამოდგება ციტრუსი, ჟუსმინი და ლავანდა.

**გარეცხეთ ჭურჭელი.** მეცნიერების აზრით, ყოველდღიური ერთფეროვანი სამუშაოს შესრულება ხელს უწყობს სტრესის დაძლევას.

**ზურგი გახნიქეთ.** გამოკვლევებით დადგინდა, რომ დამაჯერებელი პოზა ემოციებზე დადებითად მოქმედებს.

### მიიტოვით საბავთი!

მაპარონის ნაკეთობები ამიერიდან ამოღებულია საკონდიტრო ნაწარმის ნუსხიდან.

დიეტოლოგებმა გამოარკვეეს, რომ მაკარონი არ არღვევს ნივთიერებათა ცვლას და არ იწვევს სისხლში შაქრის ნახტომისებურ მომატებას. ადვილად ასათვისებელი საკონდიტრო ნახშირწყლებისგან განსხვავებით, მაკარონი დიდი ხნის მანძილზე დანაყრების გრძობას ტოვებს და წონის მომატებას არ პროვოცირებს.



ცივებს. ასევე გვირჩევენ მაკარონის მირთმევას ბოსტნეულთან და ზეთისხილთან ერთად.

### „ნაშრომობები კაცი თავს კარგად ბრძნობს...“

ცოტა ხნის წინათ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ელვის სისწრაფით გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ დიდ ბრიტანეთში მამაკაც-ტრანსგენდერმა მას შემდეგ იმშობიარა, რაც დედაც-ტრანსგენდერისგან აღებული ბიოლოგიური მასალით დაორსულდა. ხალხი საგონებელში ჩავარდა, – მაშ, გამოდის, რომ თორიულად ნებისმიერ მამაკაცს ნაყოფის მუცლით ტარება და მშობიარობა შეუძლია?

– ეს შეუძლებელია, ბავშვის ჩასახვა და ტარება მხოლოდ საშოთი შეიძლება, – აცხადებენ ექიმ-ანდროლოგები.

ამ შემთხვევაში ბავშვი მუცლით ატარა და იმშობიარა მამაკაც-ტრანსგენდერმა, ანუ ბიოლოგიურმა ქალმა, რომელსაც ქირურგიულად სარძევე ჯირკვლები კი მოაცილეს, მაგრამ საშო დაუტოვეს.

მას შემდეგ, რაც მან მამაკაცური ჰორმონების მიღება დაასრულა, ექიმებმა ქალის ჰორმონები დაუნიშნეს და დონორის კვერცხუჯრედებს შესაბამისი პროცედურა ჩაუტარეს. როგორც ჩანს, სპერმაც დონორისა იყო, ვინაიდან ოჯახის მეორე წევრიც ასევე ტრანსგენდერია.

ორსულობა ჯანმრთელი ბავშვის დაბადებით დასრულდა, რის შესახებაც საჯაროდ იქნა გაცხადებული. ვარაუდობენ, რომ ამ მაგალითს მსგავსი სხვა წყვილებიც მიმართავენ, რომლებიც მშობლობაზე ოცნებობენ.

### ბედნიერების წინაპირობები

მსოფლიო ბესტსელერების – წიგნების „პიუჯე – დანიური ბედნიერების საიდუმლო“ და „ლიუკე, ყველაზე ბედნიერ ადამიანთა საიდუმლოებათა ძიებაში“ კოპენჰაგენის ბედნიერების კვლევითი ინსტიტუტის დამარსებელი მანიკ შიპინგი ურნალისტიკის კითხვაზე პასუხობს, თუ რა გვანიჭებს ბედნიერებას და რის გამო



გვრძნობთ თავს უბედურად:

– ამის გამომწვევი ფაქტორები მრავლადაა, ამიტომ მათი სამ კატეგორიად დაყოფა შეიძლება. მათ შორის, პირველია გენეტიკა. დიას, დიას, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ბედნიერებისადმი მიდრეკილება ჩვენს დნმ-შია ჩადებული. მეორეა გარემოებები: ვფიქრობ, საჭირო არ არის იმის ახსნა, თუ რატომ არიან სირიელები ან ავღანელები ბედნიერების რეიტინგში ბოლო ადგილებზე, დანიელები კი – მოწინავე პოზიციაზე. დაბოლოს, მესამეა ჩვენი მოქცევა და არჩევანი: რას ვაქცევთ ყურადღებას, რაზე ვხარჯავთ დროს და, საერთოდაც, როგორ ვუდგებით ცხოვრებას.

ბედნიერების გენს 5-HTT ეწოდება, ის პასუხისმგებელი იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ჩვენი გენები სეროტონინს, ანუ იმ ნივთიერებას, რომელიც ჩვენს გუნება-განწყობაზე, სიხარულის აღქმაზე პასუხისმგებელია. ამ გენის „გრძელი ვერსიის“ მქონე ადამიანები ცხოვრებაში იმაზე უფრო კმაყოფილად გრძნობენ თავს, ვისაც ბედნიერების „მოკლე ვერსია“ არგუნა. ამჟამად მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ გენეტიკაზე ბედნიერების 30, ზოგჯერ კი, სულაც, 50 პროცენტი დამოკიდებული ასეთია გენეტიკოსთა და ფსიქოლოგთა განგარიშების შედეგი.

### სანიუთო პარკები

წილიწილად ჩაის პარკები ქალაქის პარკებზე გაცივებით საშიშია.

მეცნიერებმა ელექტრონული მიკროსკოპით წყალი შეისწავლეს, რომელშიც ნეილონის ჩაის პარკი იყო ჩადებული. აღმოჩნდა, რომ ნეილონის პარკი წყალში მიკროპლასტიკის მილიარდობით უწვრილეს ნაწილაკს გამოყოფს, რომლებიც ორგანიზმიდან, პრაქტიკულად, არ გამოიყვანება, თანაც მათი ხანგრძლივი ზეგავლენის შედეგები ჯერჯერობით შესწავლილი არ არის.

### „შეაბრული“ გონებასისუსტე

შპში იუმორი, შესაძლოა, დემენციის, ანუ ასაკობრივი გონებასისუსტის ნიშნად აღიარონ.

დიდბრიტანელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ სანის სტადიებზე პაციენტები კომედიურ ფილმებში სასაცილო ველარაფერს ხედავენ. ამის სანაცვლოდ მათ დიდად ახალისებთ უხამსი ხუმრობები და სტიქიური უბედურებები. ამასთანავე, პაციენტებს ხშირად არ შეუძლიათ იმის ახსნა, თუ რას ხედავენ ამში სასაცილოს.

### თუ დაბინძურებულ ჰაერს ულავაპო...

დაბინძურებული ჰაერი ადამიანებს დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგებს.

მკვლევარებმა 9 ათას ქალაქში ბოლო ათი წლის დანაშაულის სტატისტიკა გააანალიზეს და დაადგინეს, რომ კანონდარღვევათა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი უფრო მეტად დაბინძურებული ჰაერის მქონე მეგაპოლისებში აღინიშნებოდა.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სმოგი ადამიანებში განგაშის გრძობას ამძლეებს, რაც მათ დანაშაულებრივ საქციელთა ჩადენაზე უბიძგებს.





# საფეხბურთო მოზაიკა



**ჯანო ანანიძემ** გუშინ მოსკოვის „სპარტაკთან“ კონტრაქტი განაგრძო და თავისუფალი აგენტი გახდა. ქართველი ფეხბურთელისთვის ბრძოლაში ფავორიტად „ტამბოვი“ სახელდება, რომელიც რუსეთის პრემიერლიგაში მე-11 ადგილზეა.

თუმცა, ჯანოს აგენტი თეიმურაზ ლეპსაია აცხადებს, რომ მის კლიენტს წინადადებები ევროპიდანაც აქვს და გარემოს შეცვლა სურს, „ტამბოვი“ ინტერესი კი არც დაადასტურა და არც უარყო.

„ჯანოს რამდენიმე ვარიანტი აქვს ევროპიდან, აგრეთვე, რუსეთიდანაც. ჩვენი პრიორიტეტია ვცადოთ გარემოსა და ჩემპიონატის შეცვლა, აგრეთვე სურს კარიერის განახლება და ახალი გამოწვევა. მნიშვნელოვანია, რომ ევროპაში 31 იანვრამდე წავიდეთ. ჯანო ჯერ მხოლოდ 27 წლისაა და არავის ეპარება ეჭვი მის დიდ ნიჭში.“

„ტამბოვის“ ინტერესი? როგორც ვიცი, მათ ისაუბრეს ინტერესზე, მაგრამ ჩვენ არასდროს ვაკეთებთ კომენტარს კონტრაქტის გაფორმებამდე, შესაბამისად, კლუბს ვერ დავასახელებთ“, – თქვა ლეპსაიამ რუსულ მედიასთან.

შეგახსენებთ, რომ ანანიძე „სპარტაკის“ ლირსებას 11 წლის განმავლობაში იცავდა, 146 მატჩში 16 ბურთი გაიტანა და 17 საგოლე პასი შეასრულა, თითოჯერ კი რუსეთის ჩემპიონატი და სუპერთასი მოიგო. 2013-2014 წლების სეზონში იგი „როსტოვში“ იჯარით თამაშობდა და რუსეთის თასს დაუფლა, ხოლო გასული სეზონის მეორე ნახევარი ასევე იჯარით სამარის „კრილია სოვეტოვში“ გაატარა.


საქართველოს 21-წლამდელთა საფეხბურთო ნაკრებს ვასილ მაისურაძე უხელმძღვანელებს. 49 წლის სპეციალისტი 2011 წლიდან საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებების მთავარი მწვრთნელი იყო. 2012 წელს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე სწორედ ვასილ მაისურაძის ხელმძღვანელობით ითამაშა და კონტინენტის ოთხ საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა. იგი ბოლოს საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების თავკაცის პოზიციაზე მუშაობდა. ამჟამად ვასილ მაისურაძე ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა პროფესიული განვითარების განყოფილების უფროსია.

„ასაკობრივ ნაკრებებში ვასილ მაისურაძეს საკმაოდ დიდი გამოცდილება დაუგროვდა. ის კარგად იცნობს ჩვენი ფეხბურთის ახალი თაობის წარმომადგენლებს, რადგან ახალგაზრდებთან სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში მუშაობდა. ბოლოს მისი საქმიანობა 20-წლამდელთა გუნდთან იყო დაკავშირებული, ამიტომ ვფიქრობ, რომ შემდეგი ნაბიჯი ლოგიკურია. ვასილ მაისურაძე ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის სპეციალიზაციით ეტაპის დასრულებამდე უხელმძღვანელებს. ჩვენს გუნდს საინტერესო მატჩები ელოდება წლის ბოლომდე“, – განაცხადა სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე იაშვილმა.

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ვასილ მაისურაძის დებიუტი 26 მარტს სლოვაკეთთან შედგება.

შეგახსენებთ, რომ გია ცეცაძემ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი შარშან დეკემბერში დატოვა.

- ვასილ მაისურაძის სამწვრთნელო კარიერა**
- 2018-2020. საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები – მთავარი მწვრთნელი;
  - 2017. საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები – მთავარი მწვრთნელი;
  - 2015-2016. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები – მთავარი მწვრთნელი;
  - 2014-2015. თბილისის „ლოკომოტივი“ – მთავარი მწვრთნელი;
  - 2013-2014. საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები – მთავარი მწვრთნელი;
  - 2012-2013. თბილისის „დინამო“ II – მთავარი მწვრთნელი;
  - 2011-2012. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები – მთავარი მწვრთნელი;
  - 2010. საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები – მთავარი მწვრთნელი.



სანტანდერის „რასინგის“ ქართველმა ახალწვეულმა გიორგი პაპუნაშვილმა სოციალურ ქსელში ახალ გუნდთან დაკავშირებით ისაუბრა. ჩვენებურის განცხადებით, ბენდინერია ასეთ დიდ კლუბში დებიუტით და დარწმუნებულია, რომ გუნდი სეზონში დივიზიონში ადგილის შენარჩუნებას მოახერხებს.

„ბენდინერი ვარ, რომ ამ დიდ კლუბში ჩემი დებიუტი შედგა. მაღლობა, რომ მიმიღებო. გრძელი და რთული გზა გველის წინსვლისათვის, მაგრამ ვიცი, რომ შევძლებთ!“ – დაწერა ტვიტერში პაპუნაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ გიორგი „რასინგს“ 10 დღის წინათ ნოვოვიბორით შეუერთდა და უკვე ორი თამაშის ჩატარება მოასწრო. ლა კორუნიის „დეპორტივოსთან“ შეცვლაზე ჩაერთო ბრძოლაში და ორი რეალური საგოლე შანსიც ჰქონდა, ხოლო შემდეგ „ლას პალმასთან“ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და ამჯერადაც ახლოს იყო ულამაზეს გოლთან, მაგრამ მეკარემ საოცარი სეივი შეასრულა.

აქვე გეტყვით, რომ „რასინგი“ სეზონში დივიზიონში 20 ქულით ბოლო ადგილზეა და სამშვიდობო ზონას 5 ქულითაა დაშორებული.

გიორგი შოთაძე



## კალათბურთი – კარი ბრუნდება



„გოლდენ სტეის“ ლიდერი სტეფ კარი პარკეტს მალე დაუბრუნდება აღნიშნულ ინფორმაციას თავად კალათბურთელი ავრცელებს.

„ექიმთან ბოლო ვიზიტიდან ძალიან კმაყოფილი ვამოვქედი, რადგან რეაბილიტაცია კარგად მიდის. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, უკვე პირველ მარტს უნდა ვითამაშო“ – განაცხადა მან.

მიმდინარე სეზონში კარის ტრავმის გამო ჯერ არ უთამაშა, „გოლდენ სტეისი“ კი 10 მოგებითა და 35 წაგებით დასაველეთ კონფერენციაში ბოლო ადგილზეა.

ვიტალი ჯაფარიძე

## ჩოგბურთი – „ჯოკოს“ გასეირნება

ამსტრალიის ღია პირველობის ოცდამეორე მატჩში ნოვაკ ჯოკოვიჩმა იაპონელი ტაცუმა იტო 6:1, 6:4, 6:2 დაამარცხა. შეხვედრა საათსა და 36 წუთს გაგრძელდა.

ნოვაკმა 9-დან ხუთი ბრეიკი შეასრულა, თანაც სერბმა აზიელს ერთი ბრეიკის განხორციელების შანსიც კი არ მისცა.

მომდევნო ეტაპზე ფავორიტის მეტოქე მეორე იაპონელი – რეიტინგის 71-ე ნომერი იოშიჰიტო ნიშიოკა იქნება. ურთიერთშეხვედრებში ბალკანელი მას 1:0-ს ამარცხებს.

კობა კობახიძე



## ოლიმპიზმი – სასამართლო გადაწყვეტა...



რიო დე ჟანეიროს სასამართლომ ოლიმპიური პარკის დახურვის გადაწყვეტილება მიიღო. იქ განთავსებულია საწყლოსნო კომპლექსი, საჩოგბურთო კორტები, ველოდრომი და სამი მრავალფუნქციური სარბიელი, სადაც იმართებოდა ოლიმპიური ასპარეზობები, მათ შორის – ფარიკაობაში, ხელბურთში, კალათბურთში, ძიუდოსა და ჭიდაობაში.

რიოს 2016 წლის ოლიმპიური და პარალიმპიური თამაშების შემდეგ ოლიმპიური პარკის სპორტული მიზნებისთვის ძალზე იშვიათად იყენებენ, თუმცა, ტარდება მასობრივი კულტურული ღონისძიებები. კერძოდ, იქ მასპინძლობენ ვიდეოთამაშების ტურნირებსა და რეგიონის ერთ-ერთ უმსხვილეს როკ-ფესტივალს – Rock in Rio-ს, სადაც მთელი მსოფლიოდან ჩადიან მუსიკის მოყვარულები.

ორგანიზატორთა შეფასებით, შარშან ფესტივალს დაახლოებით 700 ათასი ადამიანი სტუმრობდა, რომელთა ნახევარსაც ტურისტები შეადგენდნენ.

ოლიმპიური პარკის დახურვის ძირითადი საფუძველი უსაფრთხოების არასაკმარისი პირობები გახდა. სასამართლოს მოსაზრებით, მის გამო, რომ 2016 წლის ოლიმპიური თამაშების შემდეგ ინფრასტრუქტურაზე ფაქტობრივად არავინ არ ზრუნავს, მასობრივი ღონისძიება შესაძლოა ტრავმულით დასრულდეს.

აღსანიშნავია, რომ ფედერალურ ხელისუფლებას განზრახული აქვს გაააჩვიოს სასამართლოს გადაწყვეტილება.

რიომ ოლიმპიური თამაშებს 2016 წლის 5-21 აგვისტოს უმასპინძლა. **გაჰან დოლიძე**







# ვილოცვა



ზუგდიდის რაიონის აგრონომთა ასოციაციის წევრები დიდი სიხარულით ულოცავენ სოფლის მეურნეობის აღიარებულ და ღვაწლმოსილ ყოფილ ხელმძღვანელ მუშაკს, ყველა სათვის საყვარელ პიროვნებას, მეგობრობის, უბრალოების, კეთილშობილების განსახიერება კაცს, ბატონ

## რამიკო (თავა) ბესალიას

დაბადების 80 წლის იუბილეს და უსურვევენ ყოველივე საუკეთესოს ძვირფასი ოჯახის წევრებთან, ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად.



## „შინდისი“ - სანტა ბარბარას ფესტივალი

ძარბაზი ფილმი „შინდისი“ აშშ-ის პრესტიჟულ და მასშტაბურ საერთაშორისო კინოფესტივალზე აჩვენეს. სანტა ბარბარას ფესტივალზე, რომელიც შტატებში რამდენიმე დღეა, მიმდინარეობს, ფილმის პირველი ჩვენება 21 იანვარს შედგა.

ფილმის შემოქმედებითაა ჯგუფმა ფესტივალის ფარგლებში ჩაატარა მასტერკლასებიც.

ფილმი საკონკურსო პროგრამაშია წარდგენილი. წელს კინოფესტივალის ფიურის წევრები და საპატიო სტუმრები იქნებიან: მარტინ სკორსეზე, ბრედ პითი, ლაურა დერნი და რენე ზელვეგერი, რომლებსაც სპეციალურ ჯილდოსაც გადასცემენ კინოს განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

გარდა ამისა, „შინდისი“ 2020 წელს ნაჩვენები იქნება ესპანეთის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ჩინეთის კინოფესტივალებზე.

## ვან გოგის ავტოპორტრეტის ნაფიქრობა დადასტურდა



მძაპრტემა მრავალწლიანი დავის შემდეგ საბოლოოდ აღიარეს, რომ ჩაფიქრებული კაცის ნახატი ვინცენტ ვან გოგის ავტოპორტრეტია. ამის შესახებ ინფორმაციას BBC ავრცელებს.

ხელოვნების ექსპერტებმა 1889 წელს შესრულებული ეს ნახატი დაადგინეს როგორც ერთადერთ ავტოპორტრეტად, რომელიც ვან გოგმა ფსიქოზის პერიოდში დახატა. მისი ავთენტურობა ამსტერდამში ვან გოგის მუზეუმმა დაადასტურა.

ექსპერტების თქმით, ვან გოგმა საკუთარი თავი 1889 წლის გვიან ზაფხულს, საფრანგეთში, სანტ-რემიში დახატა.

ნახატთან დაკავშირებით ეჭვები 1970-იანი წლებიდან არსებობდა.

## ჩაიის სისწრაფის ჩაქორდი

ამერიკელმა რეპერმა ემინემმა რეპის სისწრაფის თავისივე რეკორდი გააუმჯობესა. ინფორმაციას ამის შესახებ გამოცემა The Telegrips-ი ავრცელებს.

კერძოდ, კომპოზიცია Godzilla-ში, რომელიც ახალ ალბომში Music to Be Murdered By არის შესული, რეპერი 229 სიტყვას (339 მარცვალს) 30 წამში წარმოთქვამს. შესაბამისად, საშუალოდ ერთ წამში ემინემი 7,6 სიტყვას ამბობს.

წინა რეკორდი რეპერმა 2018 წელს დაამყარა, როდესაც მომლერალ ნიკომინაჟთან დუეტში კომპოზიცია Majesty ჩაწერა. მაშინ რეპერმა 12 წამში 123 მარცვალი წარმოთქვა.

## სანდრო გეგეჭკორი - კანალის საერთაშორისო კონკურსზე

პიანისტმა 66-ე საერთაშორისო კონკურსზე, 19 წლის ქართველი სანდრო გეგეჭკორი მიიღებს მონაწილეობას. ამის შესახებ ახალგაზრდა პიანისტმა თავის ფეისბუქგვერდზე დაწერა.

როგორც სანდრო გეგეჭკორი წერს, 212 კონკურსანტიდან ვიდუოჩანანერის საშუალებით აარჩიეს. სანდრო გეგეჭკორი კონკურსში საქართველოს სახელით წარსდგება.

ცნობისთვის, წელს კონკურსზე 212 აპლიკაციიდან შეირჩა რამდენიმე ათეული კონკურსანტი, რომლებიც ერთმანეთს ბარსელონაში შეერკინებინ. კონკურსში მონაწილეობა 18-36 წლის პიანისტებს შეუძლიათ. მარია კანალის კონკურსი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და დიდი კონკურსია, რომელიც ესპანეთის დედოფლის, სოფიას პატრონაჟის ქვეშაა. კონკურსზე მოსახვედრად საჭიროა სპეციალური ვიდუოჩანანერების გადაგზავნა აპლიკაციებთან ერთად.

ალსანიშნავია, რომ სანდრო გეგეჭკორი თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პირველი კურსის სტუდენტია. მან თავისი კარიერის მანძილზე არაერთ წარმატებას მიაღწია და მრავალჯერ წარსდგა ქართველი თუ უცხოელი მსმენელის წინაშე.



## ეკონეზა იოჰანეს ბრამსი

ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გერმანელი კომპოზიტორის იოჰანეს ბრამსის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართება.

კონცერტს №1 ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის საერთაშორისო კონკურსების ლაურეტი და ფიურის წევრი, თენგიზ ამირეჯიბის სახელობის საერთაშორისო ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი, ცნობილი ქართველი პიანისტი თამარ ლიჩელი შეასრულებს.

თბილისის სიმფონიურ ორკესტრს კი ახალგაზრდა დირიჟორი, კრაკოვის მუსიკალური აკადემიის მაგისტრატურის კურსდამთავრებული მირიან ხუხუნაიშვილი უდირიჟორებს. ხუხუნაიშვილი ამჟამად მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლესთან არსებული ახალგაზრდული ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორია, ასევე ხელმძღვანელობს „ალტერ ორკესტრს“.

სიმფონიური მუსიკის კონცერტი ჯანსუღ კახიძის მუსიკალურ ცენტრში 25 იანვარს გაიმართება.

## მოგებათავე გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

**საქართველოს რესპუბლიკა**  
**SAKARTVELOS REPUBLIKA**

ბ. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5  
 ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი  
**სვარტაძე ძოგუღია**  
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:  
**გურამ გომიაშვილი**  
 599 53-76-16;  
**ალექო ასლანიშვილი**  
 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი  
**მამუკა ვაშაქიძე**  
 514 33-33-24

**გამომცემლობა:**  
 შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
 599 53-76-16; 599 36-00-35  
 შპს „თანამდებობა“-ს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
 ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა  
**„ქოლორ პრესი“**  
 რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323  
 ISSN 2233-3851

9 772233 385001

**ავტორთა საყურადღებოდ!**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დანიშნავდება ავტორთა ხარჯით.**

**ავტორთა მოსაზრებები, შესაქობა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აბეზან ავტორები.**

**„საქართველოს რესპუბლიკა“**  
**შენი გაზეთია, აუსილაგლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!**

<b>საქართველოს რესპუბლიკა</b>	<b>უხსოვრი ვალუტის კურსი:</b>	<b>აქილი 23 იანვრისთვის</b>	<b>დავითიკაპით, მოგვწერათ:</b>
	აშშ დოლარი - 2.8877; ევრო - 3.2077;	ავტორთა საყურადღებოდ:	ტელ: 296-72-86,
	ბრიტანული გირანაბა სტერლინგი - 3.7676;	ბარი - ლარი -5, ლარი +11	599-79-76-79, 568-82-09-84
	100 რუბლი - 4.6777; თურქული ლირა - 0.4876;	მთიანი რაიონები - ლარი -11, ლარი +6	ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
აზერბაიჯანული მანათი - 1.6978;	დასავლეთი საქართველო:	და sakresp@top.ge	
1000 სომხური დრამი - 6.0320.	ბარი - ლარი -1, ლარი +8		
	მთიანი რაიონები - ლარი -6, ლარი +4		
	თბილისი: ლარი +1, ლარი +8		